სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 15 ოქტომბერი 2003 №195 (1966) | ფასი 50 თეთრი

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი – 22 ნოემბერი

საქართველომ უკან მოიხედა, წინ სამოა ელის

ინგლისმა ჯერ გაგვანადგურა, მერე კი დაგვიყვავა, მაგარი ბიჭები ყოფილხართო. ბორჯღალოსნები მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყებენ ბრიტებთან რკენას, თუმც ახლა სხვა რამეზე ფიქრის დროა. მსოფლიოს თასის დინება მათ სხვა მეტოქისკენ მიაქანებს — კვირას ქვემძლავრ სამოასთან ჯახის ჯერია.

ქართველებს რაგბიში გაწაფულ პოლინეზიელთა ძლევის არცთუ დიდი შანსი აქვთ, თუმც ოპტიმისტურად განწყობის კარგი საფუძველი არსებობს — ვარჯიში დაიწყო ბორჯღალოსანთა კაპიტანმა ილო ზედგინიძემ. ილოს ნაოპერაციევი შუბლი მოსალოდნელზე სწრაფად მოუშუშდა და მისი ღონე და გონება სწორედაც აუცილებელია ქართველებისთვის.

სამოა მსოფლიოს თასის ყველაზე მძიმე გუნდია და ქართველ მორკინალებს ინგლისთან აკრეფილმა გამოცდილებამ საჭირო სამსახური უნდა გაუწიოს. თანაც ზორბა ფორვარდებთან ერთად სამოელებს ჩაუქი მორბენლებიც იაფად ჰყავთ, ასე რომ, ჩვენს უკანა ხაზსაც, იცოცხლეთ, მოუწევს მუშაობა.

ოპტიმიზმს არ სესხულობს საქართველოს ნაკრების „უკანა“ ნახევარის მასწავლებელი პატრიკ ფორი, ვისთან მოკლე ინტერვიუსაც მეთორმეტე გვერდზე გთავაზობთ

ეროვნული ნაკრების ლიდერი

ბორჯღალოსანთა კაპიტან ილო ზედგინიძეს გართობისთვის აღარ სცალია, ვარჯიშს შეუდგა

თუ არ ვისწავლეთ, ისევ ვიწვალებთ!

...რუსეთთან მოგების ერთადერთი შანსი ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა იყო.

...ტაქტიკური განსწავლულობით კი რუსებს ჩამოვრჩით. რაც აქამდე ბევრჯერ მითქვამს, იგივეს გავიმეორებ:

ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი სჭირდება

...საქართველოში 11-15 ფეხბურთელი ყოველთვის მოიძებნება და გამოცდილი უცხოელი მათგან კარგი გუნდის გაკეთებას შეძლებს. როცა მწვრთნელს გუნდის მომზადების გეგმა ექნება და საქმეს მიზანმიმართულად წარმართავს, საქართველოს ნაკრებს ყველა სერიოზულ მეტოქედ ჩათვლის.

ინტერვიუ მიხეილ ყაველაშვილთან იხილეთ მესამე გვერდზე

ბერმინგჰემში ალფაი ჩამოასრჩვეს

ჯგუფური ჩხუბი სტამბოლში ბექემის დედის გინებით



იხილეთ მეექვსე გვერდი

ჰოდა, ჩემო იმანო...

ქუთაისში ტორპედოს ბრაზილიელი მწვრთნელები ჩაუყვანეს



სახელი? არ ვიცით, ჩემო ბატონო

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განელი ფორვარდი ნანა ეშონი როგორც იქნა, თბილისის „ლოკომოტივში" დაბრუნდა – სავიზო პრობლემების გამო გაუჯანჯლდა საქართველოში ჩამოსვლა. ნანა წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის ჩაირიცხა „ლოკომოტივში" ლუის ცაკარიასის ძალისხმევით, თუმც თავი დიდად არ გამოუჩენია. რკინიგზელთა მაშინდელი მწვრთნელი ცაკარიასი კი ამბობდა, განელს დრო სჭირდება, რათა გაიხსნასო.

ახლა ნანა „ლოკომოტივის" ახალი მწვრთნელის ხელშია და უინტერესო ნამდვილად არაა, თუ როგორ გამოადგებიან რკინიგზა და ნანა ერთმანეთს.

ნანა ეშონს გუშინ ნავარჯიშევს გამოველაპარაკეთ

კმაყოფილი ვარ, ეს იყო მხოლოდ ერთხელ

— განაში ქალაქ კუმასში ვცხოვრობ. ის თბილისზე დიდი ქალაქია, განაში სიდიდით მეორე. ცხოვრება იქაც რთულია. მამაჩემს ბევრი ფული არ ჰქონდა და მეც ამიტომ გადავწყვიტე ფეხბურთელობა.

— რამდენია საშუალო ხელფასი განაში?

— თვეში 50 დოლარი იქ ნორმალურ ჯამაგირად ითვლება.

— „ლოკომოტივამდე" „უდინეზეში" და „დორტმუნდშიც" იყავი, თუმც ვერც იტალიაში და ვერც გერმანიაში ვერ მოიკიდე ფეხი. „ლოკომოტივში" ყოფნით კმაყოფილი ხარ?

— „ლოკომოტივის" პირობებით კმაყოფილი ვარ. ისედაც ყველაფერი კარგადაა. მხოლოდ ერთხელ იყო, ქუჩაში რომ დამყაჩაღეს — ფული და მობილური წამართვეს.

— განაში როგორაა საქმე კრიმინალური სიტუაციის მხრივ?

— თითქმის იგივე სიტუაციაა.

— „ლოკომოტივს" გვიან შეუერთდი — როგორ ფორმაში ხარ?

— ბევრს არა, მაგრამ ცოტ-ცოტას კი ვვარჯიშობდი ჩემთვის. ჯერ მზად ნამდვილად არ ვარ, მაგრამ თანდათან შევალ ფორმაში.

— ახლანდელ „ლოკომოტივზე" რა იცი?

— ჯერ არაფერი, უბრალოდ ძალიან ბევრი ახალი სახე დამხვდა.

— რამდენ ხანს აპირებ „ლოკომოტივში" დარჩენას?

— ოთხი თვე აქ უნდა ვიყო, მერე კი ვნახოთ. განაში დაბრუნების სურვილი ნამდვილად არ მაქვს, ევროპაში მინდა.

— განაში საქართველოს შესახებ ვინმემ რამე თუ იცის?

— საქართველოზე მხოლოდ ის იციან, რომ რუსეთთანაა ახლოს.

— ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი განაში ვინაა?

— აბედი პელე, მერე ტონი იებოა, მოქმედი ფეხბურთელებიდან კი სამუელ კუფური.

დავით თავართქილაძე

გელა კიკალეიშვილს შედან ნანიკაშვილმა ბრაზილიელი დაუნიშნა

არ ვიცით, არ ვიცით

ქუთაისში უსახელო ბრაზილიელები ჩავიდნენ

ჩვენშიასეთი ტრადიცია დამკვიდრდა — გუნდს უნიშნავენ მწვრთნელს, რომლის ვინაობაც რატომღაც ბოლო წამამდე უცნობი რჩება. გუშინ საღამოს თბილისში ორი ბრაზილიელი და ერთი რუსი ჩამოფრინდა. მათ აეროპორტში ქუთაისის „ტორპედოს" დირექტორი მურად ქუთათელაძე დახვდა და სტუმრები უმალ ქუთაისისკენ გააქანა. დიახ, „ტორპედოს" ბრაზილიელი გაწვრთნის. მასვე მისი თანამემამულე და გელა კიკალეიშვილი (ამჟამინდელი თავკაცი) დაეხმარებიან. მავანი რუსი ამ გარიგების შუამავალია.

ინკოგნიტო სტუმრების ვინაობა ჩვენთვის გამოცანად რჩება. სხვა ამბების გასაგებად კი „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს დავუკავშირდით

— ვიცი, რომ ბრაზილიელები დღეს ჩამოვიდნენ საქართველოში. მათ თბილისში ჩვენი წარმომადგენელი დახვდება და ქუთაისში ჩამოიყვანს.

— ახალი მწვრთნელების ვინაობას ვერ გაგვიმხელთ?

— სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით. რაღაც სახელი კი მითხრეს, მაგრამ არ დამამახსოვრდა. ხვალ ყველაფერი შეცოდინება. მათ შევხვდები და გუნდსაც წარვუდგენ.

— ბრაზილიელების ქუთაისში დარჩენა გადაწყვეტილია?

— დიახ, ყველაფერი შეთანხმებულია.

— კონტრაქტი?

— შეთანხმება უვადოა. ბრაზილიელები გუნდს გაწვრთნიან ოღონდ როდემდე, ამას მოგვიანებით გავარკვევთ.

— გელა კიკალეიშვილს რა ბედი ეწევა?

— ისიც ბრაზილიელებს დაეხმარება.

— ესე იგი, მომავალ ტურში „ბათუმთან" უკვე ბრაზილიელი გაიყვანს გუნდს სათამაშოდ?

— ალბათ არა. ბათუმში გელა უთავკაცებს „ტორპედოს" და უცხოელებიც ამის შემდეგ მოჰკიდებენ საქმეს ხელს. ვფიქრობ, ასე უფრო უკეთესი იქნება.

— ბრაზილიელების გარდა უკრაინელ ანდრი პოროშინსაც ელოდით...

— პოროშინი უკვე ჩვენთანაა. ის უკრაინიდან დაბრუნდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ჯერ დრო დასჭირდება ფორმის აღსადგენად.

კახა შალამბერიძე

განელი ნანა ქართველ მცველებში ისევ დატრიალდება

სამკურნალო გაერთიანება

„ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

16 ოქტომბერი

მეექვსე ტურის გადადებული მატჩი

ამერი — ჩიხურა

თბილისი — საჩხერე

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ბირმინგემი 0:0 ჩელსი

პირველი დივიზიონი
XIV ტური

ძრიუ 2:2 ბრედფორდი
იფსვიჩი 6:1 ბარნლი
მილუოლი 0:1 პრესტონი
უოტფორდი 1:1 უოლსოლი
ვესტ ბრომვიჩი 0:2 შეფილდ იუნ.
ნოტინგემი 2:2 როტერჰემი
კრ. პალასი 1:1 დერბი ძაუნთი
რედინგი 2:1 ჯილინგემი
სანდერლენდი 0:0 კარდიფი
უიგანი 2:1 სტოკი

რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
პირველი მატჩები

ლოკომოტივი (ჩ) 0:0 როსტოვი
ზვეზდა 0:0 სატურნი
ელეცი 1:0 ცსკა
მეტალურგი (ლ) 1:2 სპარტაკ-ალანია
კამაზი 0:2 ზენიტი
ანჟი 3:1 როტორი
ტერეკი 2:0 ჩერნომორეცი
ამკარი 3:2 ტორპედო-მეტალურგი
გაზოვიკ-გაზპრომი 0:4 კრილია
დინამო (მ) 5:1 ვოლგარ-გაზპრომი
ლადა 0:0 ურალანი
დინამო (ს-პ) 0:4 რუბინი

ჰოლანდია

II დივიზიონი. X ტური

დენ ბოსხი 1:0 დორდრეხტი
ტელსტარი 5:1 ეინდჰოვენი

ავსტრია

I დივიზიონი. XIV ტური

ავსტრია (ლ) 1:1 უნტერზიბენბრიუნი
ბად ბლაიბერგი 0:4 ტიროლი
კაპფენბერგი 1:0 ლეობენი
ლინცერი 1:1 ლუსტენაუ
ვიორგლი 4:3 რიდი

ნორვეგია

I დივიზიონი. XXVII ტური

ჰამ კამი 1:1 მოსი

თასის 1/2 ფინალი

ტრომსიო 0:3 ბოდიო გლიმტი

საქართველო ბურთით და უბურთოთ

ყაველაშვილმა ნახევარ საათში უცხოელი დაინახა

საქართველოს ნაკრები რუსეთში მწვრთნელთა განახლებულმა შტაბმა ათამაშა. მწვრთნელი, ისევე როგორც, ალბანეთთან სასექტემბრო ორი მატჩისას, მერაბ ჟორდანია იყო, თუმც მოსკოვში მას ძველი თანაშემწეები – თემურ ქუცბაია და მიხეილ ყაველაშვილი – არ ახლდნენ.

ქუცბაია მოსკოვში რატომ არ ჩავიდა, ჯერ უცნობია, ყაველაშვილი კი სავიზო პრობლემების გამო დარჩენილა შვეიცარიაში, თუმც რუსეთი – საქართველო თავიდან ბოლომდე უნახავს და ჟორდანიას სასტარტო შემადგენლობაზე აზრი მისთვისაც უკითხავს

ეროვნულ ბიბლიოთ...

ბაბილა ფალავანდიშვილი, ფოტო

— მოსკოვში რომ წავსულიყავი, მაშინ შვეიცარიაში დაბრუნება გამიჭირდებოდა. ამჟამად უგუნდოდ ვარ და სამუშაო ვიზაც, ფაქტობრივად, ვადაგასულია — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა, შვეიცარიაში რომ დავუკავშირდით — რომელიმე გუნდში რომ ვირიცხებოდე, მაშინ ვიზის მიღების პრობლემა აღარ მექნებოდა. ჩემი საბუთები ახლა შრომის სამინისტროში მაქვს ჩაბარებული და ვიმედოვნებ, შვეიცარიელები ვიზას გამიგრძელებენ.

— კი მაგრამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ვერ დაგეხმარა ვიზის გაკეთებაში?

— ფედერაცია ვერაფრით შემეშველებოდა.

— რუსეთ — საქართველოს მატჩი ნახე?

— დიახ, ვნახე.

— მერე, როგორია შთაბეჭდილება?

— იგივე, რაც აქამდე. საქართველოს ნაკრები ინდივიდუალურად სჯობდა მეტოქეს, ეგრძნობოდა პოტენცია, მაგრამ ტაქტიკური განსწავლულობით რუსებს ჩამოვრჩით. რაც აქამდე ბევრჯერ მითქვამს, იგივეს გავიმეორებ, ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი სჭირდება.

— რა პოტენციას ატყობ ჩვენს ნაკრებს?

— იმას, რასაც ნებისმიერი უცხოელი. ჩვენები ინდივიდუალურად არავის ჩამორჩებიან, თუ უკეთესები არ არიან. ქართველი ფეხბურთელების ბურთთან ურთიერთობა ბევრისთვის მისაბაძია, მაგრამ უბურთოდ თამაშისას საქართველოს ნაკრები არაფრის მაქნისი არ არის. ლოგიკურია, რომ ჩვენთან თამაშამდე ყველა გუნდის მწვრთნელი ფრთხილობს, რადგან ქართველი ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში შესაძლებლობებს ბოლომდე წარმოაჩენენ-ხოლმე, ერთად თამაშისას კი არაფერი გამოსდით. ეს იმიტომ, რომ მწვრთნელი გვჭირდება.

— რუსეთთან მარცხის უმთავრეს მიზეზად რას თვლი?

— რუსეთთან მოგების ერთადერთი შანსი ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა იყო. საწყის ნახევარ საათში ჩვენებმა თავიანთი საუკეთესო თვისება ბოლომდე წარმოაჩინეს, გაშვებული გოლის შემდეგ კი აღარაფერი გამოუვიდათ. როცა ბურთი მეტოქემ აიღო, საქართველოს ნაკრები დაიბნა და რუსეთს დაეჩაგვრინა.

— მატჩამდე მერაბ ჟორდანიას თუ ესაუბრე?

— დიახ, სასტარტო შემადგენლობაზე აზრი მკითხა.

— უცხოელი მწვრთნელის ხელში შეეძლოთ ჩვენებს მოსკოვში მოგება?

— ძნელია ამის თქმა. ერთ-ორ დღეში გუნდს ვერავინ ააწყობს, მით უმეტეს, ჩვენნაირი გამოუცდელი მწვრთნელები. თუმც მჯერა, უცხოელი გუნდის შეკვრას მალე შეძლებს. პრობლემა ისაა, რომ ჩვენი ნაკრები თავისი პოტენციის 40 პროცენტს თუ იყენებს მაშინ, როცა შვეიცარია, რომელსაც ჰაკან იაკინის გარდა გამთამაშებელი არ ჰყავს და მის შემცვლელად გაცილებით სუსტი კაბანასი ითვლება, შესაძლებლობას მაქსიმალურად, ასი პროცენტით წარმოაჩენს. ამიტომაც მიაღწია შვეიცარიამ ასეთ წარმატებას, ჩვენ კი ბოლოში დავრჩით. საქართველოში 11-15 ფეხბურთელი ყოველთვის მოიძებნება და გამოცდილი სპეციალისტი შეძლებს მათგან კარგი გუნდის გაკეთება. როცა მწვრთნელს გუნდის მომზადების გეგმა აქვს და საქმეს მიზანმიმართულად შეასრულებს, საქართველოს ნაკრებს ყველა სერიოზულ მეტოქედ ჩათვლის.

— ვიცით, რომ მწვრთნელის პროფესიის დაუფლებას აპირებ. სწავლას როდის დაიწყებ?

— შესაძლოა, ახლავე, დეკემბერში დავიწყო. შვეიცარიაში არის მწვრთნელთა სპეციალური კურსები, რომელიც წელიწადში ორჯერ, ზამთარ-ზაფხულს ტარდება. ვნახოთ, ვფიქრობ, საქმის დაწყებას აღარ გადავდებ.

— თამაშის გაგრძელებას როდიდან აპირებ?

— ალბათ, ზამთარში... პირველი წრის ბოლომდე რამდენიმე ტური დარჩა, მერე კი, ვიმედოვნებ, ჩემით დაინტერესებული კლუბებიც გამოჩნდებიან. თან ვითამაშებ, თან ვისწავლი. არა მგონია, ხელი შემეშალოს.

ბოგა ინასარიძე



სარუსეთო პერიპეტიები დამთავრდა, მაგრამ გულისტკივილს ბოლო არ უჩანს. საქართველოს ნაკრების დაცვის ხაზი რუსეთთანაც არაერთხელ მოირღვა. არ გვყავდა კახა კალაძე, მაგრამ გვყავდა ზურაბ ხიზანიშვილი — „რეინჯერსის“ მცველი ის იმედი იყო, რომელსაც დაცვა უნდა შეეკრა, მაგრამ ზურა ჯერ 22 წლისაა...

ზურაბ ხიზანიშვილი:

კატასტროფას რა ვუყოთ, თორემ გიგზს რაღაც ეშველება

— ალბათ, ასაკთან ერთად მოდის ის, რომ დაცვის ბურჯი გახდე — რუსეთთან ერთხელაც გამოჩნდა, რომ ნაკრებს დაცვის ხაზის შემდეგ ადგილებელი არ ჰყავდა.

— ერთმა კაცმა, ვინც უნდა იყოს ის, ძნელია თამაშის დროს თანაგუნდელს უკარნახოს, როგორ მოიქცეს კონკრეტულ სიტუაციაში. როცა გუნდი მოედანზე გადის, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც გუნდს სჭირდება. ისე არ ხდება, რომ ყველაფერი თამაშის დროს მოიგონო — გუნდის სიმტკიცე თამაშამდე უნდა მოვიდეს. შუა თამაშში კი ამის გაკეთება ძალიან ძნელია.

— მოდი, კონკრეტულად ვილაპარაკოთ გაშვებულ გოლებზე.

— რუსების პირველი გოლი მართლაც ლამაზი იყო — იმ ეპიზოდში რუსებმა უბრალოდ გვაჯობეს. მეორე გოლის დროს კი ჩვენი კარის სიახლოვეს სამი კაცი იყო უმეთვალყურეოდ — ეროვნული ნაკრებისთვის ეს კატასტროფაა.

— ეს ხომ იმის ბრალი იყო, რომ სტანდარტულის დროს არავინ არ იცოდა სად განლაგებულიყო?

— როცა გოლს გაუშვებ, ლაპარაკი უკვე გვიანია. ისე კი, ყველაფერი მართლაც წინასწარ უნდა იყოს მოფიქრებული.

— წაგების კონკრეტული მიზეზი რა იყო?

— პირველი გოლი ჩვენ გავიტანეთ, მერე 5-10 წუთი მეტოქეს ბურთი დავუმალეთ და პირველი ტაიმი მაინც წავაგეთ. მეორეში ჯამარაული და ცქიტიშვილი გამოგვაკლდნენ, იმის ნახევარი არ ვიყავით, რაც პირველ ტაიმში, რუსები კი უფრო მეტი მონდომებით ათამაშდნენ.

— რეინჯერსულ ამბებზეც ვთქვათ — შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში პირველი „ოლდ ფირმი“ ითამაშე — რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ჩვენც და „სელტიკიც“ დაღლილები ვიყავით — ჩემპიონთა ლიგის ათენურ მატჩიდან ძალების აღსადგენად დღენახევარი გვქონდა. „სელტიკთან“ ისეთი თამაში წავიდა, ერთი გოლი რომ წყვეტს ყველაფერს. ჯონ ჰართსონმა მარჯვნიდან ჩააწოდა, მე ვარდნაში ხელზე მომხვდა ბურთი და კარში ჩაიჭრა. წავაგეთ, მაგრამ „აიბროქსზე“ მართლაც სასიამოვნო ატმოსფეროში ჩატარდა მატჩი.

— ამ უქმეების შემდეგ ჩემპიონთა ლიგა განახლდება, თქვენი მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედია“, რას უპირებთ ალექს ფერგიუსონის გუნდს, რომელიც წინა ტურში „შტუტგარტმა“ დაამარცხა?

— „მანჩესტერს“ იმას ვუპირებთ, რასაც ნებისმიერ ჩვენს მეტოქეს. ამ გუნდის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ უშეცდომო არავინაა — შესაძლოა, მეტოქის ერთმა შეცდომამ გამარჯვება მოგვიტანოს.

— რაიან გიგზი, კრისტიანო რონალდო, რუუდ ვან ნისტელროი — როგორ ფიქრობ, ყველაზე უფრო ვის წინააღმდეგ გაგიჭირდება თამაში?

— ჯერ არ ვიცი, რა პოზიციაზე ვითამაშებ. ისე, გიგზის წინააღმდეგ ძალიან ძნელია თამაში, სისწრაფე, გამოცდილება, ტექნიკა, პასი — მას ყველაფერი აქვს. ერთი სიტყვით, ვინც დაცვის ფლანგზე ითამაშებს, მას დაცვაში ყველაზე დიდი საქმე ექნება გასაკეთებელი. მაგრამ გიგზს რაღაცას მოვუხერხებთ.

დავით თავართქილაძე



ბაბილა ფალავანდიშვილი, ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილს (მარცხნივ) საქართველოს ნაკრების სახე აშფოთებს

მოსკოვში შექმული საქართველო ევროპული ფეხბურთისთვის უკვე უინტერესოა, სამაგიეროდ, რუსები კარგა ხანს ვერ დაგვივიწყებენ ამ „სიკეთეს“. რუსეთმა საქართველოს 3:1 მოუგო. უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგოო, წერენ რუსული გაზეთები, მაგრამ ამაზე მაინცდამაინც დიდად არც იკლავენ თავს, მთავარია, ევროპისკენ მიმავალი გზიდან არ გადავუხვიეთო...

რუსეთი წერაზეა

უელსიც საქართველო ჰგონია



თამაშამდე და თამაშის მერე



რუსებმა გიორგი ლომაიას ბევრი თავსატეხი გაუჩინეს

„ოღონდ გული ნუ დაგვწყდება იმის გამო, რომ პორტუგალიაში პირდაპირ ვერ მოვხვდით. შკოდერში და თბილისში შერცხვენის გამო პასუხი უნდა გვეგო და ასეც მოხდა. სამაგიეროდ, დრამატული სიუჟეტი — 2003 ისევ გრძელდება. ჩვენი ნაკრები ითამაშებს კიდევ და კიდევ — ნუთუ, ეს ცუდია?“ — წერს „სოვეტსკი სპორტი“.

როგორც ხედავთ, რუსები დიდად არც ნაღელობენ მეორე ადგილზე გასვლას. საქართველოს რომ დავამარცხებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ — მატჩისწინა ბაქიბუქს რუსმა ჟურნალისტებმა მერეც არ მოაკლეს სიტყვა:

„მინისტრები უმნიშვნელო გოლის შემდეგაც კი ძალუმად ეხვეოდნენ ერთმანეთს. ჩვენი გუნდი ჩერკიზოვოს კოხტა სტადიონზე დაფრინავდა და სულაც არ იყო წინააღმდეგი, მსაჯს ნახევარი საათით კიდევ გაეგრძელებინა მატჩი“ — „სოვეტსკი სპორტი“ თავისიანების ქება-დიდებას დაუსრულებლად აგრძელებს — „როგორი ნაკრები გვყავს? „ჭრელი“. მისგან ყველაფერს უნდა ელოდო. არის რესურსი: ონოპკო, ივნაშევიჩი, სმერტინი, ალდონინი, ბულიკინი. ფანტაზია და ორიგინალობა ტიტოვისგან, სიჩოვისგან და იზმაილოვისგანაც გვყოფნის, ისევე, როგორც შაბათის საღამოს პირველ ტაიმში. გვინდოდა ნერვებზე მსუბუქად თამაში და პირიქით მივიღეთ. ვინერვიულეთ, ვიზარმაცეთ და დაუცველებს ვგავდით. აღმოჩნდა, რომ პროპორცია საჭიროა. სმერტინის და ალდონინის არყოფნამ თამაში სახიფათო ტალღაზე აგდო...



საქართველოსთან თავგამოჩენილ დმიტრი ბულიკინს (№9) უელსი არ აშინებს

...ოღონდ გული ნუ დაგვწყდება. საქართველოსთან თამაშზე ვარსკვლავები მაინც სწორად განლაგდა. მოგვიანებით გამოჩნდა, რომ მოგებას, ფრეს თუ წაგებას ჩვენთვის აზრი არ ჰქონდა. სინამდვილეში კი ყველაფერი ცხოვრებისეულად მოხდა: კარგად წარმოვაჩინეთ საკუთარი თავი კიდევ ერთხელ, კიდევ, თორემ ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. თქვენ კიდევ შეგიძლიათ ჩვენი გახარება“.

„სოვეტსკი სპორტისგან“ საქართველოს ნაკრების კარში გატანილ მესამე გოლის აღწერაზეც ვთქვათ: „ნახეთ ეს ესთეტიური წყვილი? იზმაილოვი — სიჩოვი: ისე „პიჟონურად“ გააკეთეს ყველაფერი, რომ იფიქრებ, ერთმანეთს „ტრუსიკით ემმაკაცებიანო“...

ერთი სიტყვით, რუსეთმა საქართველო მოინელა და... დღეს საქართველო არავის ახსოვს. რუსული პრესის მთავარი თემა უელსია — რუსეთის მეტოქე პლეი ოფში.

„გიორგი იარცევი — უელსის პრინცი“. ასე უწოდა „სპორტ სეგოდნიამ“ რუსეთის ნაკრების თავკაცს. საერთოდ, რუს ჟურნალისტებს ახალი მწვრთნელის გაღმერთება მშვენივრად გამოსდით. გაიხსენეთ, რა აჟიოტაჟი იყო გაზაევის მწვრთნელობისას. მაშინ გაზაევი ყველასთვის ვალერი გეორგევიჩი იყო, ნაკრების მარცხიანი სერიის შემდეგ კი ყველაზე საინტერესო თემა გაზაევის ულვაში გახდა.

ამ მხრივ იარცევი „მომგებიან“ ვითარებაშია, მაგრამ ფეხის გადაბრუნებამ ვინძლო მასაც გაუჩინოს ვიზუალური „პრობლემები“.

„წილისყრა იღბლიანი გამოდგა, მაგრამ არ, უნდა მოვდუნდეთ“ — წერს „სპორტ ექსპრესი“ და იქვე რუსი ფეხბურთელების კომენტარებს აქვეყნებს. მათგან რამდენიმეს ჩვენც შემოგთავაზებთ:

დმიტრი ალენიჩევი: „საწყენია, რომ ქულები სუსტ გუნდებთან დავკარგეთ. ამის გამო ახლა პლეი ოფში თამაში გვიწევს, მაგრამ არაუშავს. უელსის გავლა თავისუფლად შეგვიძლია“.

დმიტრი ბულიკინი: „რა თქმა უნდა, ისეთ გუნდებთან შეხვედრა, რომელსაც ერთადერთი ვარსკვლავი რაიან გიგზი ჰყავს, კარგია. რთული თამაშები გველის, თუმც ამის არ უნდა შეგვეშინდეს“.

ალექსანდრ კერჟაკოვი: „უელსის დარ მეტოქეს ალბათ ვერც ვინატრებდით. კარგი ვარიანტია“.

დმიტრი ლოსკოვი: „გავიცლით თუ არა ამ ეტაპს? აბა, სხვას ვის უნდა მოვუგოთ თუ არა უელსს?“

ეგორ ტიტოვი: „როგორც იქნა, გაგვიმართლა. შანსები თანაბარია“.

ფეხბურთელთა ნაზრევიდან დასკვნები თავად გააკეთეთ. ჩვენ კი რუსული სიხარულის ერთ პატარა ნაწილაკსაც გაგანდობთ, თუმცა თავად რუსები ამას სავარაუდოდ კუდის გამოსაბმელ ამბად უფრო გადააქცევენ: ცნობილმა საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა“ მომავალი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტები „შეაფასა“. რუსები ბულგარეთთან ერთად მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე ადგილზე არიან. და რა უხარიათ რუსებს? რა და მათ შვეიცარია „ჩამოიტოვეს“.

ძახა ზალამბერიძე

სეზონში 15 გოლს გაიტანს?

არ არის ბაშთურქი საჩვენო კაცი

სეზონის დასრულების შემდეგ „ლევერკუზენის“ თურქი ფეხბურთელი ილდირაი ბაშთურქი თავისუფალი აგენტი გახდება. იგი კონტრაქტის გახანგრძლივებას ჯერჯერობით არ აპირებს და მის მომავალს უკვე სხვა კლუბებს უკავშირებენ. მათ შორის „არსენალსა“ და „ლივერპულსაც“ ახსენებენ, თუმცა თურქი, შესაძლოა, გერმანიაში დარჩეს.

ერთ-ერთი ვარიანტი გელზენკირხენის „შალკე“ იყო, მაგრამ „ხუმარების“ სპორტულმა დირექტორმა ეს ამბავი უარყო: „ჩვენ მაღალი კლასის გამთამაშებელი აშკარად გვჭირდება, რომელიც თავდამსხმელებს პასებით მოამარაგებს და თვითონაც სეზონში 15-მდე გოლს გაიტანს. ძალიან მეეჭვება, რომ ბაშთურქმა ეს შეძლოს. ჩვენ მასში გუნდის პოტენციურ ლიდერს ვერ ვხედავთ.“

ბრემენის „ვერდერის“ ორმა ფეხბურთელმა „შალკესთან“ წინასწარ კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა. მლადენ კრსტაიჩი და აილტონი მომავალი წლიდან გელზენკირხენში გადავლენ. გუნდიდან მთავარი ფეხბურთელების წასვლის ამბავი რომ შეიტყო, „ვერდერის“ ფრანგმა იოან მიკუმ გული აიყარა და თვითონაც გაქცევას ლამობს.

„ხუმარების“ სპორტული დირექტორის აზრით, ილდარაი ბაშთურქი თუ სადმე მაინც გადავა, ალბათ სწორედ ბრემენის „ვერდერში“, სადაც მიკუს შეცვლის.

ვაჟა ხუციშვილი



„შალკემ“ ილდირაი ბაშთურქზე უარი თქვა

უეფას თასი 2003-2004. პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

ფული და აიბაბა

ბოზჭურთი თურქებს შურისძიებას შეპირდა

კიკი ალვარესი „ვილიარეალს“ ვერ უკაპიტნებს

„ტრაბზონსფორმა“ პირველ მატჩში „ვილიარეალთან“ უგოლო ფრე გაახერხა. დღეს ესპანელები თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ესტუმრებიან. „ვილიარეალს“ კაპიტანი კიკი ალვარესი ტრავმის გამო დააკლდება, თუმც რიკელმე და სონი ანდერსონი ფორმაში არიან. ალვარესი „ალიკანტესთან“ სათასო მატჩში დაშავდა. მის ნაცვლად ალბათ ფაბრიციო კოლოჩინი ითამაშებს. გულდაწყვეტილმა კაპიტანმა თქვა: „კიდევ ერთი ტრავმირებული ფეხბურთელი ჩვენი გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან ისედაც მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს“.

მასპინძელთა მწვრთნელი სამეტ აიბაბა კლუბის პატრონს შეუჩნდა, შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის დაწესებული 50 ათასი დოლარის ნაცვლად პრემია სამჯერ გაუზარდოთო. პრეზიდენტი დათანხმდა. „ვილიარეალის“ ძლევის შემთხვევაში ტრაბზონელები 150 ათას დოლარს გაინაწილებენ.

„ავნი აკერზე“ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ. უეფას თასზე „გენჩლერბირლიგი“ გამიყვანია და გამოცდილება არ მაკლია. სწრაფი გოლის გატანას შევეცდებით და, ცხადია, გულშემატკივრების იმედიც გვაქვს“ — დასძინა აიბაბამ.

მეორე თურქული გუნდი „გენჩლერბირლიგი“ ბლექბერნს ეწვევა. „გენჩლერმა“ პირველი მატჩი 3:1 მოიგო და ორბურთიანი მარაგით მიემგზავრება ინგლისს, მაგრამ კაპიტანი უმით ბოზქურთი თანაგუნდელებს აფრთხილებს: „ბლექბერნის“ სტადიონზე ჩვენთვის საშინელი ატმოსფერო დაგვხვდება. ინგლისელი ფანები ჯერ კიდევ თურქეთ — ინგლისის მატჩის დროს მომხდარი ამბების გავლენის ქვეშ იქნებიან და შურისძიებას ეცდებიან“.

„გაზიანთეფსპორი“ თელ ავივის „ჰაპოელს“ ჰოლანდიაში ესტუმრება. ებრაულ გუნდებს შინ თამაშის უფლებას უეფა ჯერჯერობით არ აძლევს. ამიტომაც „ჰაპოელი“ მეტოქეს ნარინჯოვან ქვეყანაში დაუხვდება. „გაზიანთეფსპორს“ მთავარმეგოლე ჰასან ოზერი ტრავმის გამო დააკლდებათ.

კიდევ ერთი ებრაული გუნდი ჰაიფას „მაკაბი“ სლოვენიაში „პუბლიკუმს“ ეწვევა. „მაკაბიმ“ სლოვენიელებს პირველ შეხვედრაში 2:1 სძლია და ახლა სასურველი ანგარიშის შენარჩუნებას შეეცდება. დაახლოებით ათი დღის წინ „მაკაბის“ ფეხბურთელები ჰაიფას რესტორან „მაქსიმში“ საუზმობდნენ, როცა რესტორნის ახლოს არაბმა ტერორისტებმა ბომბი ააფეთქეს და გუნდის თავკაც რონი ლევის თურმე ყურებში წივილის ხმა ახლაც ესმის.

უეფას თასზე მოთამაშე რამდენიმე გუნდს მწვრთნელი შეუცვალეს. სოფიის „ლევსკის“ ახალი თავკაცი გეორგი ვასილიევი იქნება. იგი 1993-95 წლებში ამ გუნდში უკვე მუშაობდა. მისი ხელდასმით „ლევსკი“ ზედიზედ ორჯერ ბულგარეთის ჩემპიონი გახდა და ქვეყნის თასიც მოიგო. ბულგარელებმა პირველ შეხვედრაში რამათ განის „ჰაპოელს“ სტუმრად 1:0 სძლიეს და ახლა შეეცდებიან, ახალი მწვრთნელის დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნონ.

ხორვატულმა „ვარტექსმა“ შინ უნგრულ „დებრეცენთან“ 1:3 წააგო და გუნდის თავკაცი დრაჟენ ბესეკი გაათავისუფლეს. მის ნაცვლად „ვარტექსს“ უცნობილესი ხორვატი მიროსლავ ბლაჟევიჩი უთავკაცებს. „ვიმედოვნებ, რომ ბლაჟევიჩთან ერთად ევროთასის საგზურს გაისადაც მოვიპოვებთ და შინაურ ჩემპიონატშიც წარმატებულად გამოვალთ“ — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა დავორ დარაბაშმა.

შოტლანდიაში „ჰართსთან“ 0:2 მარცხის შემდეგ ბოსნიური „ჟელეზნიჩარის“ მთავარი მწვრთნელი ამარ ოსიმი მოხსნეს. „ჟელეზნიჩარმა“ „ჰართსის“ ჩათვლით ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, ბოსნია-ჰერცოგოვინის თასის მფლობელს ეს არ ეკადრებაო და კლუბის პატრონმა ოსიმი უმუშევრად დატოვა. მის ნაცვლად თანაშემწე ქემალ ალისპაიჩი უნდა დაენიშნათ, რომელმაც გუნდის თავკაცობა იუარა. „ჟელეზნიჩარს“ ჯერჯერობით მწვრთნელის მეორე თანაშემწე მილომირ ოდოვიჩი წვრთნის.

ბერძნულმა „არისმა“ მოლდოვაში „ზიმბრუსთან“ ფრე (1:1) კი გაახერხა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი შინაურ ჩემპიონატში „კალითეასთან“ (0:4) მარცხმა გააბრაზა და მთავარი მწვრთნელი იანის მიხალიციოსი სამუშაოდან დაითხოვა. მიხალიციოსმა „კალითეასთან“ წაგების შემდეგ პრეზიდენტი გააკრიტიკა და ამის გამო მოაშორეს. კლუბის დირექტორთა საბჭომ ასეთი განცხადება გააკეთა: „მიხალიციოსის კრიტიკა და რეპლიკები ფეხბურთელებზე უარყოფითად მოქმედებდა. ამიტომ იძულებულნი გავხდით, გაგვეთავისუფლებინა“. „არისის“ დროებით მწვრთნელად გუნდის ყოფილი მოთამაშე გიორგიოს პანციარასი დანიშნეს და იგი პირველ გამოცდას „ზიმბრუსთან“ ჩააბარებს.

„გრასჰოპერი“ შარშან ჩემპიონი გახდა, მაგრამ ამ სეზონში ძალიან სუსტად თამაშობს. „კალიებმა“ შინ ხორვატული „ჰაიდუკის“ ძლევა ვერ მოახერხეს, მერე კი შინაურ ჩემპიონატში მაჩანჩალა „ვილთან“ დამარცხდნენ. წარუმატებლობის მიზეზად კლუბის პრეზიდენტმა 43 წლის სპეციალისტი მარსელ კოლერი მიიჩნია. სწორედ ის, ვინც შარშან გუნდს ოქრო მოაგებინა. „გრასჰოპერს“ დროებით კოლერის თანაშემწე, არგენტინელი კარლოს ბერნეგერი გაუძღვება და ეგებ სპლიტს მისი თავკაცობით ესტუმრონ. „კალიებს“ ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ფერნანდო გამბოა დააკლდებათ. ექიმთა თქმით, მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება.

მეორე შვეიცარიული გუნდი „ქსამაქსი“ პირველ მატჩში „ოსერთან“ 0:1 დამარცხდა და დღეს ერთბურთიანი სხვაობის გაბათილებას შეეცდება. ფრანგებს მარცხენა მცველი ჟან სებასტიან ჟორე ვერ დაეხმარება. მას მარჯვენა ფეხი დაუშავდა და სამი კვირა მკურნალობა მოუწევს.

ქსამაქსელებს 21 წლის არგენტინელი მცველის მიგელ ალფრედო პორტილიოს ჯანმრთელობა აღელვებთ, რომლის თამაშიც საეჭვოა. ჩემპიონატში „იანგ ბოიზთან“ მაჯჩში მსუბუქად დაშავდა „ქსამაქსის“ ორი ფორვარდი. მფუტი მობულუ და იოელ გრიფიტსი. გუნდის ექიმები იმედოვნებენ, რომ ორივე „ოსერთან“ მატჩისთვის მზად იქნება.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ „ჰამბურგში“ ფრიად საპატიო (1:2) ანგარიშით წააგო და შინ გერმანელებს ღირსეულ ბრძოლას ჰპირდება. ოღონდ ამ ბრძოლაში მასპინძლებს მეკარე და კაპიტანი, 31 წლის ნიკოლაი მედინი დააკლდებათ. უკრაინის ნაკრებში არაერთხელ გამოძახებულ მეკარეს ოპერაცია ელის.

კურტ იარას „ჰამბურგი“ ძირითადი შემადგენლობის ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს. ალექს მაიერი საოპერაციოა, მილან ფუკალს კი ქირურგების ჩაურევლადაც მოუვლიან.

კვიპროსული „აპოელის“ სტუმრად ძლევის შემდეგ ესპანური „მალიორკა“ სტუმრებს შინ ახალი მწვრთნელით დაუხვდება. პორტუგალიელი ჟაიმე პაშეკუს ხელობა დაუწუნეს და მის ნაცვლად მალიორკელთათვის ცნობილი ლუის არაგონესი დანიშნეს. კუნძულის გუნდს სამი მოთამაშე ვერ დაეხმარება: ადრევე ტრავმირებულ ვისენტე ფერნანდესსა და ფედერიკო ლუსენჰოფს მეკარე ლეო ფრანკოც შეუერთდა.

ზაგრების „დინამომ“ პირველ მატჩში უნგრულ მტკ-ას 3:1 სძლია. ასეთი ანგარიშით ხორვატები მშვიდად უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ ერთბაშად ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდათ. „დინამოს“ მწვრთნელი ნიკოლა იურჩევიჩის ნერვიულობის მიზეზნი არიან: მეკარე მარიო იოზჩიჩი, რომელსაც თითი მოსტყდა, ნახევარმცველები: იასმინ აგითი და მიხაელ მიკიჩი და დისკვალიფიცირებული მცველი დინო დორპიჩი. იურჩევიჩს კიდევ ორი ფეხბურთელი ბოლომდე ტრავმამოუშუშებული ჰყავს და უნგრეთში რთული თამაში ელის.

„რომამ“ მოსკოვის ცსკა-ს გამამწარებელი სკოპიეს „ვარდარი“ იტალიაშივე მოაშთო და ფაბიო კაპელო მაკედონიაში რამდენიმე მთავარ კაცს არ წაიყვანს. ფრანჩესკო ტოტი, მარკო დელ ვეკიო და ვინჩენცო მონტელა რომში დარჩებიან.

სლოვაკური პუხოვის ფეხბურთელებს „კამპ ნოუზე“ მონათლავენ. ბოლნისის „სიონის“ მძლეველნი „ბარსელონასთან“ იმის დამტკიცებას ეცდებიან, რომ შინ ფრედ (1:1) შემთხვევით არ ეთამაშნენ, თუმც ეს ადვილი საქმე არ იქნება. ეგებ პუხოველებმა მოედანზე სამი ბარსელონელი ვერ იხილონ. რონალდინიო სათასო მატჩში დაშავდა და იამაიკასთან ამხანაგურ შეხვედრაში ეროვნულ ნაკრებს არ ახლდა. პატრიკ კლუივერტმა მოლდოვასთან მარცხენა მუხლი იტკინა და ცალკე ვარჯიშობს. პორტუგალიელმა კვარესმამ ალბანეთის წინააღმდეგ ითამაშა, მაგრამ ისიც ჯანს უჩივის და დღეს მისი გამოჩენა საეჭვოა.

გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის „მეტალურგს“ „ენიო ტარდინიზე“ „პარმასთან“ ბრძოლა მოუწევს და დონეცკელთა უპირველესი შემწუხებელი ბრაზილიელი ადრიანო იქნება.

„ჰერტა“ „გროცლინს“ ეწვევა. ბერლინელი გულშემატკივრები სეზონის დასაწყისიდან ამაოდ ელიან თავიანთი გუნდის გამარჯვებას და ჰუუბ სტევენსმა ეგებ ნავსი პოლონეთში გატეხოს.

ვაჟა ხუციშვილი



„ქსამაქსს“ ჟან სებასტიან ჟორე დაეკლდება, ზაგრების „დინამოს“ მიხაელ მიკიჩი



ვიდეოპატრული 0:0

ორმოცდაათასიანი ჩხუბი და ჩხუბის გარჩევა სტამბოლში

ბირმინგემში ალფაი ჩამოახრჩვეს

საფეხბურთო ევროპამ დიდი ჭირი მოიშორა — 11 ოქტომბერს, სტამბოლში, „ფენერბაჰჩეს“ სტადიონზე თურქეთისა და ინგლისის ნაკრებთა შესარჩევი შეხვედრა ისე ჩატარდა, რომ ორ ქვეყანას შორის ომი არ დაწყებულა, არავინ მოუკლავთ, არაფერი დაუნგრევიათ... ცხვირ-პირის გარდა. დიახ, ცხვირ-პირი დანგრევას მაინც ვერ გადარჩა და ეს მაყურებლების კი არა, ფეხბურთელების ცხვირ-პირი გამოდგა.



საინტერესო ამბავია, გაგრძელება აუცილებლად მოჰყვება და ამიტომ უფრო დაწვრილებით აღვწერთ, თუმცა ზუსტად, რა რის მერე და როგორ მოხდა, ალბათ თავად მონაწილეებმაც არ იციან, რადგან ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, ამბობენ, ორმოცდაათ კაცამდეო და ყველას თავისი წილი თუ ეხსომება.

ერთი სიტყვით, ის, რაც მოხდა გვირაბს შიგნით, გასახდელების მიმდებარე ანუ ტრიბუნებსქვეშა ტერიტორიაზე ტაიმებს შორის, მავანმა თურქმა ოპერატორმა ვიდეოკამერაზე აღბეჭდა. ხოლო ამ ყველაფრის გამომწვევი თურქეთის ნაკრების მცველი (ის რომ ინგლისური „ასტონ ვილას“ მცველიცაა, ამაზე მერე მოგახსენებთ). ალფაი გამოდგა — ალფაიმ დევიდ ბექემს სახეში მიარტყა.

ვინც თამაშს უცქირა, ეხსომება ალფაისა და ბექემს შორის პირველი ტაიმის დროს რაც მოხდა. პენალტის ეპიზოდზე მოგახსენებთ: ბექემმა დაარტყა, მაგრამ ფეხი დაუცდა და ბურთი სადღაც ზევით გაუფრინდა. ამ ამბით გახარებული ალფაი ნიშნის მოსაგებად ინგლისელთა კაპიტანს მივარდა, „ურქინა“ და როგორც ირკვევა, დედა შეაგინა, რის პასუხადაც ბექემი წამოუხტა და გაექაჩა — გასაშველებლები შეიქნენ. გასახდელში ამ ამბის გაგრძელები იყო.

მოკლედ, როგორც მოგახსენეთ, ალფაიმ ბექემს სახეში გაარტყა, რაზეც — პასუხი მიიღო და წამებში უკვე 50 კაცი ცდილობდა ერთმანეთის ცხვირ-პირის დანაყვას. თურქი ოპერატორის გადაღებულ კადრებში ხან რა ჩანს, ხან რა. მაგალითად, ჩანს როგორ ყვირის ბიულენთ ქორქმაზი, რომელიც ვიღაცისკენ იშვერს ხელს; ჩანს ვიღაცის ხელი, რომელიც ეშლი კოულს ითრევს; ჩანს ხალხის ჯგუფი, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ფეხბურთელების გაშველებას ცდილობენ; ჩანს როგორ მირბის რამდენიმე ინგლისელი ფეხბურთელი იმ დღეს სათადარიგო ჰასან შაშის საცემად; ჩანს როგორ მიუძღვის ამ ჯგუფს ემილ ჰესკი, რომელზეც თქვეს, რასისტულად გალანძღული დარჩაო; ჩანს მსაჯი პიერლუიჯი კოლინა, რომელიც მოჩხუბართა დაშოშმინებას ლამობს; ჩანს ვიღაცის ხელი, რომელიც თურქ ოპერატორს კამერას დაბლა აწევინებს (ოპერატორმა შემდეგ განაცხადა, რომ ეს დევიდ ბექემის ხელია); ჩანს უეინ რუნი, რომელიც ალფაისთვის სახეში მუშტის დამიზნებას ახერხებს და სხვა.

მოგვიანებით, თურქთა მეკარის რუშთუს ინტერვიუდან ვიგებთ, რომ იგი ალფაის წამოწყებული ჩხუბით კმაყოფილი არ არის და აი, რატომ:

„ამ სულელური ქცევის შედეგად ის გამოვიდა, რომ ინგლისელთა დამარცხებაზე და ტაქტიკაზე საუბრის ნაცვლად შესვენებისას ჯერ ვიჩხუბეთ, ხოლო შემდეგ, როდესაც ოთახში შევედით, იმ ჩხუბზე ვილაპარაკეთ“.

აი, ამბავი ასეთია და ფაქტია, რომ მას გაგრძელება მოჰყვება: დამნაშავეები დაისჯებიან. სხვა საქმეა, რომ ინგლისში ქომაგებმა უკვე გამოაცხადეს თავიანთი ნომერ პირველი მტრის ვინაობა — ალფაი, პრემიერლიგის „ასტონ ვილას“ მოთამაშე.

მოვუსმინოთ „ჩელსის“ მცველს, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს ჯონ ტერის:

„ინგლისში დაბრუნების შემდეგ რასაც მიიღებს, თავს დააბრალოს. რაც გააკეთა არაპროფესიონალიზმი იყო და ასეთ ამბებს ხალხი არ ივიწყებს. არადა, თამაშამდე სულ სხვა რამეებს ამბობდა, თურქები გულთბილად დაგხვდებიან, ხოლო ფეხბურთელებს შორის საერთოდ რაზე შეიძლება ლაპარაკი იყოსო“.

ერთი სიტყვით, სრულიად ინგლისი თითს ალფაისკენ იშვერს და „ასტონ ვილას“ მის გაგდებას სთხოვს. ბირმინგემის ცენტრში ქომაგებმა თურქის მაისურა ლამპიონზე ჩამოახრჩვეს, ხოლო გაზეთმა „სანმა“ თავის ფურცლებზე ანკეტა გამოაქვეყნა. მისი შევსება ბუნებრივია ყველას შეუძლია, ხოლო ზედ ტექსტი გამზადებულია: ძვირფასო მისტერ ელის (საუბარია „ასტონ ვილას“ თავმჯდომარე დაგ ელისზე), გვერწმუნეთ, ალფაი სამარცხვინო პირღვნებაა და ინგლისური ფეხბურთისთვის აღარ ვარგა. გთხოვთ, დაუყოვნებლივ გაადგოთ.

კეთილი, მაგრამ მისტერ ელისისთვის ეს საქმე ასე იოლად მოსაგვარებელი ნამდვილად არ არის. კერძოდ, თურქი კონტრაქტის თანახმად კვირაში 40 ათას გირვანქას იღებს და მისი დღესვე გაშვება ფეხბურთელის მოკლებას პლუს 1,44 მილიონი გირვანქის გატანებას ნიშნავს.

„ასტონ ვილას“ ყოფილი მწვრთნელი ჯონ გრეგორი: „ალფაი დიდებული ფეხბურთელია და ჩვენი გუნდისთვის ყოველთვის ღირსეულად იბრძოდა. რაც შეეხება გასულ უქმეებს, რაც მან ჩაიდინა ზღვარგადასული გახლდათ და ასეთ საქციელს ვერ მოვუწონებ. იგი ვალდებულია დევიდ ბექემს ბოდიში მოუხადოს, თუმცა მან თურქ ქომაგებსაც უნდა მოუბოდიშოს, რადგან ეჭვი არაა, ეს აყალმაყალი მათაც არ სურდათ. ინგლისში ალფაი მე ჩამოვიყვანე და დღემდე ჯენტლმენად ვიცნობდი, მოედანზეც და ვარჯიშის დროსაც მთლიანად იხარჯებოდა, ხოლო როდესაც სანაკრებო შეხვედრებზე ვუშვებდით, უკან საჩუქრებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა. იგი ფიცხი და ამაყი ადამიანია. ერთადერთი, ალფაიმ ინგლისში თავი ცუდად შესაძლოა მაშინ იგრძნო, როდესაც გრემ ტეილორმა აღარ და აღარ ათამაშა, მაგრამ ისე, როგორც შაბათს სტამბოლში მოიქცა, მაინც არ უნდა მოქცეულიყო“.

პაპუნა კედია

რაზე ფიქროდა რიო?





ფერდინანდი ასოციაციაში დაკითხეს

დავუბრუნდით რიო ფერდინანდის ამბავს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის მცველი, რომელიც კლუბმა 30 მილიონ გირვანქად იყიდა და ხელფასად კვირაში 100 ათასი დაუნიშნა, მოგეხსენებათ, თურქეთთან სათამაშოდ ინგლისის ნაკრებში იყო გამოძახებული, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ დოპინგ-ტესტზე ჩავარდნა დასწამა და შეკრებიდან გამოიძახა. ახლა, თავიდან აღარ მოვყვებით, რომ ინგლისელები ფერდინანდის მხარდასაჭერად გაიფიცნენ და სტამბოლის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ თავისი ქვეყნის საზოგადოება ფრიად ანერვიულეს.

ორშაბათს, ფერდინანდი ფეხბურთის ასოციაციაში ჰყავდათ დაბარებული, სადაც ორი საათი დაჰყო და იქიდან, კონკრეტული პასუხის გარეშე გამოვიდა — ვერდიქტს, ალბათ, კვირის ბოლოს მიიღებს.

ამ ორსაათიან შეხვედრაზე „მანჩესტერის“ მცველმა განმარტა თუ რა მოხდა და რატომ გაჩნდა ეჭვი, რომ იგი დოპინგ-ტესტს ემალება. თუმე, 23 სექტემბერს, მანჩესტერში საგანგებო ლაბორატორია ჩაუტანიათ ფეხბურთელების შესამოწმებლად და კლუბის ექიმს ამის შესახებ ფერდინანდისთვის ჯერ ვარჯიშის დროს უთქვამს, ხოლო შემდეგ საშხაპეში შესვლის წინ.

ფერდინანდს კი... დავიწყებია?

ცნობისთვის: დოპინგის გამოყენებისთვის კაცმა ინგლისში შესაძლოა ორწლიანი დისკვალიფიკაციაც კი მიიღოს.

ფერდინანდმა, ტესტი მაინც გაიარა, მაგრამ 36 საათის მერე, ეგრე კი, სად არის ბატონო...

პაპუნა კედია

ხოსე მარია გუტიერესი, ანუ გუტი, სახელი რომლითაც საფეხბურთო სამყარო მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთ ვარსკვლავს იცნობს. გარდა მისი უდიდებულესობა ფეხბურთისა, მადრიდის ომან ტორეხონ დე ადროსში დაბადებული ნახევარმცველი ოჯახს, პირად ცხოვრებასაც და მსოფლიო მოდასაც ჯეროვან ყურადღებას უთმობს. კასტილიური გრანდის მობურთალს ესპანური „მარკა“ ესაუბრა

რეალური ზღაპრის გმირი

გუტის ცხოვრების მოდელი: იყავი ის, ვინც იყავი

— ბედნიერი ხართ თქვენი ცხოვრებით?

— სრულებით ბედნიერი ვარ. ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც მომწონს და რომლითაც კმაყოფილი ვარ. პირად ცხოვრებაშიც მეტად გამიმართლა — ქვეყნიერების ზურგზე ჩემი ოჯახის მსგავს სიხარულს ვერაფერი ვერ მომანიჭებს. შვილებთან ყოველდღიური ურთიერთობა, ალერსი,... ყოველივე ეს უძლეველს მხდის ხოლმე.

— თქვენი კარიერის დაწყებიდან საკმაო ხანი გავიდა, გუნდის ვარჯიშებისადმი გუტის დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა?

— თუ შეიცვალა, ალბათ უკეთესობისკენ. უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები საქმეს. ახლა უკვე დამწყები ახალბედა აღარ ვარ, კლუბის მესამე კაპიტნად ვითვლები და ეს გაცილებით უფრო მეტ შრომას მავალდებულებს, ვიდრე მაშინ, როცა „სამეფო გუნდში“ პირველად მოვედი.

— ასე ახალგაზრდა ხართ და უკვე სახელგანთქმული, პრივილიგირებულად გრძნობთ თავს?

— ფებურთის თამაში — აი, ეს არის ჩემი პრივილეგია, ან გნებავთ, რაც გინდათ ის დაარქვით. დიდება და ფული ვერასდროს განმაცდევინებს ფეხბურთისნაირ სიამოვნებას, ამაში მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, კარგია, როდესაც ადამიანი საყვარელი საქმით ხარ დაკავებული.

— ნორმალურად გეჩვენებათ ის უზარმაზარი ხელფასი, რასაც დღეს ფეხბურთელები იღებენ?

— ჩემი აზრით, სხვანაირად არც შეიძლება, რადგან საფეხბურთო ინდუსტრია ახლა ასეა აწყობილი. ნებისმიერ საქმეს თავისი შემოსავალ-გასავალი აქვს და ისევე როგორც დიდ ბიზნესში, მსოფლიოს ფეხბურთშიც, დიდი თანხები ტრიალებს. ჩვენც ამ ბიზნესის ნაწილი ვართ. თუმც ისეთი ფეხბურთელებიც ხომ არიან, ვინც საკმაოდ მოკრძალებულ ანაზღაურებას იღებენ.

— ხოსე მარია გუტიერესის ამჟამინდელმა კარიერამ ტორეხონ დე ადროსელ ჭაბუკში რისი შეცვლა ვერ მოახერხა?

— მისი ცხოვრების ძირითადი პრინციპების. მე არც ჩემი ფესვები დამვიწყებია, არც ჩემი მეგობრები და არც ის, თუ რა ფასად დამიჯდა აქ, მადრიდის „რეალში“ მოხვედრა. ყოველთვის ვცდილობდი, სწორად განმესაზღვრა, თუ რაა მთავარი და რა მეორეხარისხოვანი, ვინ გამორჩენის მიზნით მიახლოვდება და ვინ ჭეშმარიტი მეგობრობის სურვილით. ვეჭვობ, ჩემი კარიერის მსვლელობამ ამაში რაიმე ცვლილება შეიტანოს.

— ფეხბურთელ გუტის გარდა მოდელ გუტიზეც საუბრობენ. მსოფლიოს მოდის სამყაროსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— არც ისე მჭიდრო და დაახლოებული, თქვენ რომ გგონიათ. მუდამ მოსახერხებლად სატარებელ ტანსაცმელს ვირჩევ, მიყვარს კარგად ჩაცმა, მაგრამ ნამდვილად არ მიფიქრია, თუ ამის გამო თითით საჩვენებელი გავხდებოდი. დიდი მოდა მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში.

— „რეალის“ ბევრი ფეხბურთელი საუკეთესო დიზაინერების სამოსს იცმევს, საუცხოო მანქანით დადის, ცხოვრობს სხვათაგან განცალკევებულ ბრწყინვალე ვილებში. თითქოს რაღაც უცნაური ზღაპრის გმირ-მონაწილენი ხართ...

— მე პირადად აქ ზღაპარს ვერ ვხედავ. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ძვირფასი მანქანა გეყოლება თუ იაფფასიანი. აქაც ისეთივე ბედნიერი ვარ, როგორც ტორეხონში ვიყავი. მერწმუნეთ, ფულსა და სიმდიდრეს კაცის არც გაფუჭება შეუძლიათ და არც მის ხასიათში რაიმე დადებითის შეტანა, განა ცუდია თუ ვინმე საკუთარი ფულით ლამაზი და სასარგებლო რამეების შეძენას მოისურვებს? მე თუ მკითხავთ — არამც და არამც.



— იმ ფეხბურთელებზე რას იტყვით, სვირინგი და არაორდინალური ვარცხნილობები ამშვენებს?

— და რას ამბობენ, რომ ეს ბიჭები ამგვარად არ უნდა იქცეოდნენ? საყურის ან სხვა რაიმე სამშვენისის ტარება ყველა ადამიანს შეუძლია და რატომ უნდა იყოს ფეხბურთელის შემთხვევა განსაკუთრებული? ეს ალბათ უფრო მედიის მიერ ატეხილი აჟიოტაჟის ბრალია.

— კმაყოფილი ხართ თქვენი თანაგუნდელებით?

— აბსოლუტურად. ვამყობ იმით, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ჩემი საუკეთესო მეგობრებიც არიან.

ფრანკ რაიკარდის პირობა

კატალონიურ „ბარსელონას“ ამჟამად რთული პერიოდი უდგას. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიაში მტკიცედ სჯერათ პრეზიდენტ ლაპორტას მიერ წამოწყებული რევოლუციური რეფორმებისა, ჯერჯერობით „ბარსას“ დიდი სასიკეთო ძვრები არ ემჩნევა და მტერი თუ მოყვარე დაულალავად ბჭობს ამ სახელოვანი კლუბის საჭირბოროტო საკითხებზე. მადრიდული „რეალის“ მებაირახტე ესპანური „მარკაც“ ბარსელონელთა ჰოლანდიელ დამრიგებელ ფრანკ რაიკარდს ესაუბრა.



— ორი თვე გავიდა, რაც „ბარსელონას“ მწვრთნელი ხართ. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები ესპანეთის ჩემპიონატზე?

— ცუდი არაფერი მეთქმის. ვცხოვრობ საოცარ ქალაქში, სადაც დიდი თუ პატარა ფეხბურთით სუნთქავს. ასეთი თავგამოდებული ინჩასობა სხვაგან ნაღდად არ მინახავს. მოხარული ვარ, რომ „ბარსელონაში“ მიწევს მუშაობ. გუნდი საომარი ოპტიმიზმითაა სავსე და მჯერა, სეზონის ბოლოს ჩვენი მძიმე შრომა საკადრისად დაფასდება. ესპანეთის ჩემპიონატში კი ახალი არაფერი მინახავს. დიდი ხანია, რაც პრიმერადივიზიონს თვალყურს ვადევნებ და ბევრი ვიცი ამ ტურნირის განსაკუთრებულ სიძლიერესა და სირთულეზე.

15	წიკლაური მაია ინგურის ას(თბილისი)	250(23-23-20-37-33-23-34-33-39-33-28-41)
16-17	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე(თბილისი)	248(13-18-20-26-36-10-34-28-31-34-44-41)
16-17	ციცვიძე იური ვლადიმერის ძე(თბილისი)	248(15-20-42-31-36-20-36-31-34-31-38-31)
18	მისაბიშვილი გიორგი გიორგის ძე(თბილისი)	247(20-28-18-26-38-15-45-23-28-23-41-41)
19-20	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე(თბილისი)	245(33-23-0-0-33-23-36-31-33-36-38-36)
19-20	მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე(თბილისი)	245(23-26-30-28-30-25-42-26-23-38-36-41)
21	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე(თბილისი)	244(26-28-33-34-31-23-31-23-33-36-36-41)
22	თევდორაძე ვარლამ გივის ძე(ქუთაისი)	243(23-21-34-20-39-10-36-34-13-26-31-43)
23-25	გომარელი გიორგი მურმანის ძე(თბილისი)	242(15-23-31-42-30-15-34-28-31-26-33-41)
23-25	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე(თბილისი)	242(20-15-0-0-28-23-25-23-31-36-47-52)
23-25	ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე(თბილისი)	242(28-39-34-31-36-20-38-29-31-28-31-33)

მედეგების ბაარლოტესტება შეიძლება 19 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აბლაძის 39ა, მე-3 სართული

არგენტინის გასატანი გაიტანამ გაიტანა

14 ოქტომბერი. გოსფორდი

არგენტინა 67:14 ნამიბია

არგენტინა: ერნანდესი, სენილოსა, გაიტანი, ხუან ფერნანდეს მირანდა (ფ. კონტეპომი), ალბანეზე, კესადა, ნიკოლას ფერნანდეს მირანდა (კაპ); ბუზა, ოსტილია, დიურანი, სპორლედერი (ლობე), ალვარესი, სკელცო (რონსერო), მენდესი, რეჯიარდო

10 ლ: მენდესი, ბუზა (2), ხუან ფერნანდეს მირანდა, გაიტანი (3), ნიკოლას ფერნანდეს მირანდა, ტექნიკური (2); 7 გ: კესადა; 1 ს: კესადა;

ნამიბია: ბუსენი (სვანეპული), მოუტონი, გრობლერი, პაუელი, აფრიკა (დრეერი), ვასელსი, ჰუსელმანი (პედრო); ფურტერი (კაპ), ლინველტი (ლილი), დერ მარვი, ისააკი (დუენჰაგი), სენეკალი, დუ ტოიტი (ბლააუ), მეიერი, ლინსინგი

2 ლ: გრობლერი, ჰუსელმანი; 2 გ: ვესელსი

ავსტრალიასთან დამარცხებულ სამარქაფო გუნდიდან არგენტინელთა მწვრთნელმა მარსელო ლოფრედამ ერთბაშად ცხრა კაცი შეცვალა და ნამიბიას ოპტიმალური შემადგენლობა გაუყვანა.

ლოფრედამ ამჯერად 10 ნომერზე ათამაშა წინა მსოფლიოს თასის ბომბარდირი (102 ქულა) გონსალო კესადა, ხოლო მარქაფიდან დააწინაურა 9 ნომერი ნიკოლას მირანდა და მას კაპიტნობაც დააკისრა. აგუსტინ პიჩო კი საერთოდ ვერ მოხვდა 22 კაცში.

მარტინ გაიტანმა სამი ლელო გაიტანა

REUTERS

ცვლილებებმა და ლოფრედას შეგირდთა შეხურებამ გაამართლა.

არგენტინელთა შუამარბის მარტინ გაიტანას ჰეთთრიქით და მისიანთა კიდევ 7 ლელოთი „პუმებმა" იოლად მოუგეს მსოფლიოს რეიტინგით თასის ყველაზე სუსტ გუნდს. ამასთან არგენტინამ პრემიალური ქულაც აიღო. დამატებითი ქულა კი არგენტინას დიახაც რომ დასჭირდება ირლანდიასთან ჯგუფიდან გამსვლელი სამეორადგილოსნო ბრძოლისთვის.

ლოფრედა ალბათ ახლა ნანობს, რომ ავსტრალიასთან მატჩი კესადას სათადარიგო სკამიდან აყურებინა, რაკი მაშინ ფელიპე კონტეპომმა სამი იოლი ჯარიმა ააცილა, კესადამ კი ათიდან შვიდი ლელო გარდასახა და ზედ ერთი საჯარიმოც დაურთო. ამით კესადას 17 ქულა დაუგროვდა და მექულეებშიც გაერია.

ყველაფერთან ერთად ეს იყო არგენტინელთა სარეკორდო გამარჯვება მსოფლიოს თასებზე. ერთადერთი, რაზეც სამხრეთ ამერიკელებს გული დასწყდათ, ისაა, რომ კიდევ ორი ლელო ვერ გაიტანეს, რათა პირველ ტურში სამხრეთ აფრიკის და ინგლისის რეკორდი (12 ლელო) გაემეორებინათ.

A ჯგუფი					
არგენტინა	1	0	1	+37	5
ირლანდია	1	0	0	+28	5
ავსტრალია	1	0	0	+16	4
რუმინეთი	0	0	1	-28	0
ნამიბია	0	0	1	-53	0

7 ან ნაკლები ქულით წაგებას ენიჭება 1 პრემიალური ქულა; 4 ლელოს გამტანს 1 პრემიალური ქულა

დღეს

ფიჯი — აშშ

იტალია — ტონგა

სამოა — ურუგვაი

ბორჯღალოსნები სკოლაში არიან

პაპი ფორი უკანა ხაზს ხაზვას ასწავლის

რაგბი კონტაქტური სპორტია და აქედან გამომდინარე, ძალა და ღონე აუცილებელია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ სულ შერკინებით თამაშიც შეუძლებელია. ამაში ერთა თასის გათამაშებამაც დაგვარწმუნა, ბორჯღალოსნების უშუალო მეტოქე რუმინეთი ჩვენებს შერკინებით არ ჩამოუვარდება, მაგრამ უკანა ხაზის ოსტატური ბურთაობით აღემატება, ამიტომაც „მუხის ფოთლები" მოგებას თავიანთი უკანახაზელების კარგი თამაშის წყალობით აზერხებენ. ნაკრების უკანა ხაზს შველა რომ სჭირდებოდა, 1999 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევმა მატჩებმაც დაგვანახვა. რუმინელებმა ყველა ლელო უკანა ხაზით გაგვიტანეს და მსოფლიოს თასს მიღმაც დაგვტოვეს.

იმისათვის, რომ ჩვენებურებს ხელდახელ ბურთაობა ესწავლათ, სორელის ინიციატივით ნაკრების ხელმძღვანელობამ თავის დროზე საფრანგეთის ჩემპიონი და ნაკრებგამოვლილი პატრიკ ფორი მიიწვია. ფორი ნაკრებში ზედ რუსებთან ისტორიული მატჩის წინ მივიდა და ჩვენ უკანახაზელებსაც გამოცდილი კაცის ხელი მალევე დაეტყოთ. იმას ვერ ვიტყვით, რომ დღეს ნაკრების უკანახაზელე-



პატრიკ ფორი: პასი უნდა ვისწავლოთ, ბიჭებო

საქართველოს ნაკრების სუსტი რგოლი რომ უკანახაზია, ამას რაგბიში ჩაუხედავი კაციც ხედავს. ჩვენებურების საქომაგოდ მოედანზე მისული ქომაგი ლალი და კომბინაციური რაგბის მაგივრად ჭიდაობასა და ძიძგილაობას ხედავდა. თანაც ტანად ზორბა ბორჯღალოსნებს ეს კარგადაც გამოსდით. ნაკრების წარმატებასაც ძირითადად შერკინების კარგი თამაში განაპირობებდა. საკმარისი იყო, მოწინააღმდეგეს 5-6 ფაზიანი შეტევა განეხორციელებინა, რომ ბორჯღალოსანთა უკანა ხაზი ბრინჯივით იბნეოდა. ნაკრების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი იძულებული იყო, უკანა ხაზშიც კი ჯანიანი და გამგლეჯი ბიჭები დაეყენებინა, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური მონაცემების წყალობით მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი უნდა გაერღვიათ ანაც ჯაჯგურით მოპოვებული ბურთი ისევ შერკინებაში შეებრუნებინათ. ასეთი თამაშით ლელოები თავისზე სუსტ მეტოქეებს ადვილად უსწორდებოდნენ.

ბი ფიჯელი ანაც ახალზელანდიელი ჯადოქრებივით ბურთაობენ, მაგრამ კომბინაციურ თამაშს უკეთ ახერხებენ და ელემენტარული შეცდომებიც შეამცირეს.

მრისხანე ინგლისთან მსოფლიოს თასის სადებიუტო მატჩში ჩვენი ხაზი შერკინებაზე არანაკლებ მტკიცედ იდგა და თუმცა თორმეტი ლელო გაუშვა, არ დაბნეულა და „ვარდებს" ბოლომდე გააზრებულად ეთამაშა. ცხადია, ჩვენი სამმეოთხედელების — სრულყოფილებას ვინ ითხოვს და — საშუალო დონემდეც ბევრი უკლიათ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყინული დაიძრა და ხაზიც.

ნაინგლისარ ბორჯღალოსანთა ბეკებს ავსტრალიაში კიდევ არაერთი რთული თამაში ელით, თანაც ჯგუფში მათთან ერთად მყოფი ნაკრებებიდან ბურთაობა ურუგვაის გარდა ყველას შეუძლია.

ინგლისთან მატჩის შემდეგ პატრიკს დავუკავშირდით და ჩვენი უკანახაზელების შესახებ დავეკითხეთ. „პაპი", როგორც მას სარაგბო ოჯახში ეძახიან, ამ კითხვა-პასუხზე არ დაგვზარდა.

— ინგლისთან ნაკრების უკანა ხაზის თამაშს როგორ შეაფასებთ?

— მატჩის პირველი 15 წუთი დაცვაში კარგად ვითამაშეთ. სანამ ბიჭები დაიღლებოდნენ, ინგლისელთა მრავალფაზიან შეტევებსაც უმკლავდებოდნენ, მერე კი ნელ-ნელა დაიღალნენ და ცოტა აირივნენ კიდეც. საერთო ჯამში ბიჭების თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. ინგლისთან თამაში თავად მსოფლიოს სარაგბო გრანდებს უჭირთ. თანაც ინგლისელებს ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ხაზი ჰყავთ.

ამ მატჩმა ჩვენებს დიდი გამოცდილება შესძინა. ამიტომაც იმედი მაქვს, დარჩენილ შეხვედრებში ჩვენი ბეკები უკეთ ითამაშებენ.

— მატჩის წინ ბიჭებს რა დავალება მიეცით?

— დავალება ერთი იყო, დაცვაში აგრესიული თამაში. ჩვენი ნახევრიდან ფეხით უნდა გვეთამაშა, ხოლო მოწინააღმდეგის მოედანზე წინ მოკლე-მოკლე დარტყმებით წავწეულიყავით და შემდეგ ბურთი სწრაფად გაგვეთამაშებინა. სამწუხაროდ, ამის საშუალება გამოცდილმა მეტოქემ თითქმის არ მოგვცა, ბურთი დაგვიმალა. ამიტომაც მატჩის პირველ 15 წუთს თუ არ ჩავთვლით, შეტევაში საერთოდ არ გვითამაშია. დაცვაში კი ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს.

— უკანა ხაზში ვის გამოარჩევდით?

— რაგბი გუნდური თამაშია, ამიტომაც ვინმეს გამორჩევისაგან თავს შევიკავებ. მე ცალკეულად არავის თამაში არ მაინტერესებს, ჩემთვის მთავარია, ხაზმა ერთად და აზრიანად ითამაშოს. ინგლისთან თამაშმა დაგვარწმუნა, რომ სამუშაო ბევრია. ჩვენც შეცდომების გამოსწორებას შევეცდებით.

— მომდევნო თამაშში, სამოასთან რაიმეს შეცვლას ხომ არ აპირებთ?

— ნაკლებსავარაუდოა, ვინმე შევცვალოთ. სამოასთან ხაზი დაახლოებით იგივე შემადგენლობით ითამაშებს. იმედი მაქვს, ბურთი უფრო ხშირად დაგვრჩება, ვიდრე ინგლისთან და რაიმე აზრიანის გაკეთებასაც შევძლებთ. სათამაშო სქემაც იგივე დარჩება. ჩვენი ნახევრიდან ბურთის ფეხით გადავიტანთ და შევეცდებით, მოწინააღმდეგის მოედანზე ვითამაშოთ. იმისათვის, რომ ბურთი ბოლომდე ჩავათამაშოთ, მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება მეტი მოთამაშე მოლში და რაქში უნდა ჩავითრიოთ, მერე კი ბურთი სწრაფად გავათამაშოთ.

— სამოასთან დამრტყმელი ვინ იქნება?

— შორიდან მახო დაარტყამს, ხოლო ახლოდან პალიკო.

არჩილ ჭუმბურიძე

მალხაზ ურჯუკაშვილს გასანავარდებლად კარგი პასი და ...ივრცე სჭირდება



ვახტანგ ნაცვლიშვილი საფრანგეთში გაშინაურდა

ევროპაში სეზონი ჯერ რიგიანად არ გახურებულა, ქართველთაგან კი უკვე კარგი ცნობები მოდის. ვლადიმერ ბოისას სლოვენიურ „ოლიმპიაში“ ყოჩაღობა ძველი ამბავია, ვახტანგ ნაცვლიშვილი კი კვლავაც არ ღალატობს მის საკალათბურთო კრედოს: სადაც უნდა ვითამაშო, ყველგან გუნდის ლიდერობა მსურსო

ნაცვლიშვილმა პარიზი დაამხო

ნბა-ს არაქართველური გამოფენა

პორტუგალიაში ბურთაობის შემდეგ ამ ზაფხულს ნაცვლიშვილი გაცილებით ძლიერ საფრანგეთის ლიგაში გადავიდა. მისი ახალი გუნდი, „დიჟონს“, არასდროს ყოფილა ფრანგულ კლუბთა ელიტაში, თუმც ამ უქმეებზე სწორედ ქართველის დახმარებით ჩაწერა ახალი ფურცელი თავის მოკრძალებულ ისტორიაში. „დიჟონი“ საფრანგეთის ჩემპიონატში არასდროს ულიდერია, ახლა კი, სამი ტურის შემდეგ, ყველას ზემოდან დაჰ ყურებს, მათ შორის, გიორგი მდივნის მრავალტიტულა „პო ორტეზს“.

ნაცვლიშვილმა საწყის ტურებშიც ითამაშა, მაგრამ ყველაზე წარმატებული სწორედ ბოლო შეხვედრა აღმოჩნდა პარიზში „რასინგის“ წინააღმდეგ. „რასინგი“ „დიჟონის“ კალიბრის გუნდია, მაგრამ ბოლო ექვსი წელია, პარიზულ დაპირისპირებებში სულ ის იმარჯვებს. ახლა კი, ნაცვლიშვილის დახმარებით, დიჟონელებმა ნავსი გატეხეს. ბოლო წუთებზე სწორედ ქართველის აქტიურობამ მოუტანა მათ ნანატრი გამარჯვება.

„დიჟონში ზეიმია, მათი გუნდი არასდროს ყოფილა პირველ ადგილზე, პარიზშიც ექვსი წელია, არ უმარჯვნიათ. მიხარია, რომ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში გამოვიჩინე თავი, ბომბარდირი გავხდი და ბოლო წუთზეც ვიყოჩაღე — გვითხრა ნაცვლიშვილმა გუშინ, დიჟონში რომ შევეხმიანეთ — ბოლო წუთი მიმდინარეობდა, ანგარიში თანაბარი იყო. პარიზელებმა ვერ ჩაგვიგდეს, ბურთი მე მოვხსენი და შეტევა რომ წამოვიწყე, მეუხეშნენ და მსაჯმაც არასპორტული ჯარიმით დასაჯა მასპინძლები. საჯარიმოებიც ჩავყარე და მორიგ შეტევაშიც ვიხეირე, რაც გამარჯვებას ნიშნავდა.“

„დიჟონში“ არ უთამაშია ვიქტორ სანიკიძეს, რომელიც უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და საქართველოდან გათავისუფლების ფურცელს ელის.

არ უთამაშია არც გიორგი მდივანს. მხოლოდ მეორე წინა მოუწია მოედანზე გასვლა და ისიც 3 წუთით.

მდივნის „იტალიელი“ მეგობარი მანუჩარ მარკოიშვილი კი წარმატებით ირჯება სერია A-ში. მისმა „ბენეტონმა“ პირველ ტურში დებიუტანტ „სიცილიასთან“ დამარცხების შემდეგ „ლივორნო“ დაიბრიყვა.

„ლივორნოსთან“ მხოლოდ 12 წუთი ვითამაშე, მაგრამ 7 ქულა მაინც მოვაგროვე. მთლად კარგად არ გავრჯილვარ, დაცვაში შეცდომები მქონდა, მაგრამ უკმაყოფილო ნაღდად არ ვარ. საინტერესო ისაა, რომ ამ მატჩში გამთამაშებლად ვითამაშე. ანგარიში რომ გამანადგურებელი გახდა, მწვრთნელმა მოედნიდან ტაიუს იდნი გაიყვანა და მის პოზიციაზე მე დამაყენა“ — გვითხრა მანუჩარ მარკოიშვილმა სატელეფონო საუბრისას.

აპენინის ნახევარკუნძულიდან ბალკანეთისაზე გადავინაცვლოთ, სადაც მულტიეროვნულ ადრიატიკის ლიგაში სხვა ექსიუგოსლავიურ გუნდებთან ერთად თამაშობს ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია“. ლიუბლიანელებმა მესამე ტურში სლოვენიური დერბი გამარჯვეს ნივო მესტოს „კრკასთან“ და დამარცხდნენ. ბოისამ საკმაოდ ბევრი, 32 წუთი ითამაშა და წინა მატჩებთან შედარებით ერთობ ცოტა 9 ქულა მიითვალა. „ოლიმპია“ კი წაგების შემდეგ მისთვის უჩვეულო მე-9 ადგილზე დამკვიდრდა ცხრილში.

ოკეანგაღმა კი საგამოფენო მატჩები გრძელდება და „დენვერიც“ უკვე მეორე შეხვედრაა, „ფინიქსს“ ამარცხებს. ამჯერად ნიკა ცქიტიშვილის გუნდმა შედარებით მოკრძალებულად მოუგო ტეხასელებს, ქართველს კი თამაში აშკარად ჩაუვარდა, 19 წუთში 5 პერსონალური დაუგროვდა და ოდენ 3-ქულიანი მონაგარით დატოვა მოედანი. უფაჩულიო „ორლანდო“ კი უსტეფანიო „მაიამისთან“ დამარცხდა, კოჭნატკენი ზაზა ვარჯიშს ამ დღეებში შეუდგება.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	თ	წ/ქ	ა
იტალია. სერია A										
მანუჩარ მარკოიშვილი	ბენეტონი	ლივორნო	შ	115:85	12	7	1	2	20,5/7,5	5
საფრანგეთი. PRO A										
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	რასინგი	ს	87:83	29	19	8	3	22/11	1
გიორგი მდივანი	პო ორტეზი	რეიმსი	ს	89:78	განაცხადში არ იყო			1	3/2	2
ადრიატიკის ლიგა										
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	კრკა	ს	87:94	32	9	2	3	29/12	9
NBA. საგამოფენო მატჩები										
ნიკა ცქიტიშვილი	დენვერი	ფინიქსი	შ	106:100	19	3	5	2	21/6	-
ზაზა ფაჩულია	ორლანდო	მაიამი	ს	75:77	ტრავმირებულია					-

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; თ — თამაშების რაოდენობა; წ/ქ — ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები საშუალოდ; ა — გუნდის ადგილი ცხრილში; ს — სტუმრად; შ — შინ

კიმ კლაისტერსი

კიმმა ნავსი გატეხა

ჩოგბურთის სახელმწიფო ენად ისევ ფლამანდური რჩება

მორშის გრანპრი
ფილდერშტადტი
საპრიზო 650 ათასი $

მეოთხედფინალი

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) 6:4, 6:3; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 7:5, 6:0; ელენა ბოვინა (რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) 6:3, 6:2; მარი პიერსი (საფრანგეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 7:5, 7:6 (8:6)

ნახევარფინალი

კლაისტერსი — პიერსი 7:6 (7:2), 6:0; ენენ-არდენი — ბოვინა 6:2, 6:4

ფინალი

კლაისტერსი — ენენ-არდენი 5:7, 6:4, 6:2

ამ ტურნირზე ფლამანდურენოვანი ბელგიელი კიმ კლაისტერსი და მისი ფრანგულენოვანი თვისტომი ჟუსტინ ენენ-არდენი არა მხოლოდ მორიგი ტიტულისთვის, არამედ მსოფლიო რეიტინგსიის პირველსნობისთვისაც იბრძოდნენ.

წლეულს მათ ერთმანეთთან სულ ექვსჯერ ეპაექრათ და თებერვალში ანტვერპენულ ნახევარფინალში მოგების შემდეგ — ივნისის ორდინაოფენურ ფინალს თუ არ ჩავთვლით — სადაც ტრავმირებულმა ჟუსტინმა მეორე სეტში მატჩის შეწყვეტა არჩია — კიმს ერთხელაც ველარ მოეგო. ამ ოთხი მარცხიდან ყველაზე მტკივნეული, ცხადია, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობათა ფინალებში ძლევა იყო.

მოკლედ — კიმს ან ნავსი უნდა გაეტეხა, ან საბოლოოდ უნდა ელიარებინა, რომ ჭინკა თვისტომი გადაულახავ ბედისწერად ექცა. საბედნიეროდ, ლეიტონის გოგომ პირველი ვარიანტი „არჩია“.

ჰოდა, ახლა ის უკვე მეოთხე ქალია, ვინაც ფილდერშტატდში ტიტულის დაცვა შეძლო. ეს მისი მე-7 საამსეზონო ჯილდოა — რითიც ის იმავ ჟუსტინს გაუტოლდა — და მე-17 — საკარიერო. მათ პირად დავაში კი კიმი უკვე 8:6 უპირატესობს.

რაც მთავარია, თუკი მათი ხუთი აქამომდელი ფინალური შეხლიდან (ისევ და ისევ ორდინაოფენურის არჩათვლით) ყველაში ჟუსტინს ემარჯვა, ფილდერშტადტულის შემდეგ კიმს აღარც ამის კომპლექსი უნდა ჰქონდეს.

ლიონის გრანპრი
მაგარსაფარი
საპრიზო 800 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

რაინერ შუტლერი (1, გერმანია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:6 (7:2), 6:4; პარალორნ შრიჩაფანი (3, ტაილანდი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 1:6, 6:3, 7:6 (7:4); მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (7:3), 6:2; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:4

ნახევარფინალი

შუტლერი — იუჟნი 6:3, 3:6, 7:5; კლემანი — შრიჩაფანი 6:2, 6:3

ფინალი

შუტლერი — კლემანი 7:5, 6:3

რე სეტში მატჩის შეწყვეტა არჩია — კიმს ერთხელაც ველარ მოეგო. ამ ოთხი მარცხიდან ყველაზე მტკივნეული, ცხადია, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობათა ფინალებში ძლევა იყო.

მოკლედ — კიმს ან ნავსი უნდა გაეტეხა, ან საბოლოოდ უნდა ელიარებინა, რომ ჭინკა თვისტომი გადაულახავ ბედისწერად ექცა. საბედნიეროდ, ლეიტონის გოგომ პირველი ვარიანტი „არჩია“.

ჰოდა, ახლა ის უკვე მეოთხე ქალია, ვინაც ფილდერშტატდში ტიტულის დაცვა შეძლო. ეს მისი მე-7 საამსეზონო ჯილდოა — რითიც ის იმავ ჟუსტინს გაუტოლდა — და მე-17 — საკარიერო. მათ პირად დავაში კი კიმი უკვე 8:6 უპირატესობს.

რაც მთავარია, თუკი მათი ხუთი აქამომდელი ფინალური შეხლიდან (ისევ და ისევ ორდინაოფენურის არჩათვლით) ყველაში ჟუსტინს ემარჯვა, ფილდერშტადტულის შემდეგ კიმს აღარც ამის კომპლექსი უნდა ჰქონდეს.

არნო კლემანის დასათრგუნად და წინა კვირას ტოკიოში გამარჯვების მერე ზედიზედ მეორე ტიტულის მოსახვეჭად გერმანელ რაინერ შუტლერს იმ დღეს ორ საათზე ნაკლები დრო დასჭირდა.

ეს შუტლერის მეოთხე საკარიერო ტიტულია და ლეიტონ ჰიუიტის, გილერმო კორიას, ენდი როდიკისა და ტაილორ დენტის შემდეგ ის მეხუთე კაცია, წლეულს ზედიზედ ორი ტურნირის მოხვეჭა რომ შეძლო. ხოლო ის, რომ სეზონის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ჰიუსტონურ მასტერსტურნირზე ის უკვე ნახევარფინალში გასვლისთანავე მოხვდა, ამის შესახებ — გეხსომებათ — წინა კვირაშივე გაუწყეთ.

ჩემპიონთა რბოლაში 568 ქულით მეექვსე ადგილზე მდგომი შუტლერის გარდა მასტერთასზე მოხვედრის უფლება აქამდე ენდი როდიკს, ხუან კარლოს ფერეროს, როჯერ ფედერერს, ანდრე აგასისა და გილერმო კორიას დაებეგებინათ.

ვენის საერთაშორისო ტურნირი
მაგარსაფარი
საპრიზო 765 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:3; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 7:6 (7:5); ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:1, 6:4; მარს მირნი (ბელარუსი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4

ნახევარფინალი

ფედერერი — მირნი 6:2, 7:6 (7:2); მოია — ჰენმანი 7:6 (7:1), 7:5

ფინალი

ფედერერი — მოია 6:3, 6:3, 6:3

ჟუსტინ ენენი

ვენური ფინალი სამი სეტის მოგებამდე თამაშდება ხოლმე და ყველა რომ ველოდით, ჩემპიონთა რბოლის მეშვიდეადგილოსანი კარლოს მოია ტიტულდამცველ როჯერ ფედერერს ფიცხელ რბოლას გაუმართავდა, ვერ მოგვერთვა.

სეზონის მეექვსე, ხოლო კარიერის მეათე ტიტულისთვის მონადირე ალპელმა ესპანელს 93 წუთში გადაუარა და ვენური ტურნირის მეოთხე მრავალგზის მომგები კაცი შეიქნა.

სათქმელია ისიც, რომ ამ ტურნირის შემდეგ ფედერერი 14 მარცხის წილ უკვე 67 გამარჯვებას მოიძევს, რაიც — ისევე როგორც ექვსი ტიტული — ამქრის საამსეზონო რეკორდი გახლავთ. ჩემპიონთა რბოლაში კი მას 655 ქულა დაუგროვდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა 726 ქულის მქონე მეორეადგილოსან ფერეროს. ლიდერს, ენდი როდიკს 807 ქულა აქვს.

ჰიუსტონურ რვაკაცა მასტერსთასზე მოსახვედრად დაგეშილმა მოიამ კი კარიერის 30-ე ფინალი ითამაშა და მე-15 ტიტულის მოპოვების შანსი გაუშვა. თუმც ვენაში მოხვეჭილმა სარბოლო ქულებმა რბოლის მერვეადგილოსან დავიდ ნალბანდიანს (358) ის უკვე 63 ქულით დააშორა.

ლევან კელაურაძე



FERRARI, AMORE MIO!

შენც მიხაელ, მიდი, მიდი, შეუბერე!



მე კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი ვარ. უკვე მეექვსედ. ფანტასტიური გრძნობაა, გრძნობა, რომლისთვის საბრძოლველადაც ალბათ არასოდეს, არასოდეს დავიღლები.

ღმერთო ჩემო, რა სეზონი იყო. და რა არაჩვეულებრივი გამოდგა უკანასკნელი რბოლა. ასე მართლაც არასოდეს მინერვიულია.

თუმცა ყოველ წელს ერთი და იგივე ხდება... წლის სამი მეოთხედი განძრევის შანსი არა გაქვს — მაგარი გაწნეხილი ხარ, რადგანაც ამ წითელ მანქანაში ჯდომა მხოლოდ გამარჯვებას გავალდებულებს. მუდმივი კონცენტრაცია, მუდმივი დაძაბულობა — წარმოგიდგენიათ, ამ დროს ნერვები რა დღეშია. ამიტომაცაა, როცა კი „სუძუკაზე" ფინიშის ხაზს გადავკვეთ ხოლმე, ეგრეკე გულზე მეშვება და საოჯრად ვწყნარდები.

ამ ჯერზე კი მართლაც მაგრად შევუბერეთ, სადღაც სამ-ოთხ საათამდე ერთი ხელით „ბაკარდით" სავსე ჭიქა მეჭირა, მეორით კი მიკროფონი. იცით რას ვმღეროდი? სინატრას „ჩემს გზას". ჰო, კორინას სინატრას სიმღერები არც მანამდე მოსწონდა, ახლა კი ალბათ საერთოდაც ვერ იტანს. ერთი სიტყვით — ძალიან მაგრად შევუბერე.

ჩემთან ერთად ჩემი ორი საუკეთესო მეგობარი — ვეტერი და ჰერმანეზეი იჯდნენ. ისინი ჩემი კერპნული ძმები არიან.

რიგა მთვრალმა სარკეში ჩავიხედე, ჩემს თავს ვუთხარი: ბიჭო, მიხაელ, ხედავ, რა ბედნიერი ხარ-მეთქი! გყავს ნაღდი ძმები და ორი ასეთი ფანტასტიური ოჯახი...

ერთი, ცხადია, შუმახერებისაა, მეორე ოჯახს კი „ფერარი" ჰქვია.

მე ექვსგზის ჩემპიონი ვარ, აქედან ოთხი პირველობა ზედიზედ მოვიგე. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ბოლო ხუთი წელია, „ფერარი" გუნდურ პირველობასაც არავის უთმობს. მაინც რა წლები იყო, არა... ფერარი, ამორე მიო!

მაგრამ ეს სეზონი მაინც უმძიმესი გამოდგა. გუნდს ძალიან ბევრი რამის გადატანა მოუხდა. ჯერ ჩემი ცუდი სტარტი აიღეთ — სამი რბოლის მერე ჯამში მხოლოდ რვა ქულა მქონდა. მესამე ეტაპზე, ბრაზილიაში სულაც ტრასაზე მოვსრიალდი — მანქანა გუბეზე აკვაპლანერივით გაცურდა. ეს მართლაც საშინელება იყო.

მაგრამ გუნდი არ დამფრთხალა, ჩვენს ძლიერებაში ეჭვი არც ერთ ჩვენთაგანს არ შეპარვია. და რა მოხდა მერე? მომდევნო ხუთ რბოლაში ოთხი გამარჯვება მივითვალეთ. თუმცა მერე ისევ პრობლემები იყო — ხუთი რბოლა ისევ ჩამივარდა. მხოლოდ ერთხელ შევძელი პოდიუმზე ასვლა. მდგომარეობა უკვე საეჭვოთო ხდებოდა. ხოლო როცა „ჰუნგარორინგზე" ალონსომ ერთი წრით გამისწრო, ზოგმა ეგებ საბოლოოდაც ჩამოგვწერა.

მაგრამ საბოლოო გამარჯვების რწმენა ჩვენ არც მაშინ შეგვრყევია. მე ყოველთვის მწამდა, რომ „ფერარი" ნებისმიერი რთული ვითარებიდან გამოსვლას შეძლებდა. დანებებაზე არასოდეს გვიფიქრია.

საზაფხულო პაუზის დროს ტელეფონი ხელიდან არ გამიშვია. თითქმის ყოველდღიურად ვსაუბრობდი მარანელოელ ბიჭებთან იმის შესახებ, კიდევ შეგვეძლო თუ არა რამის გაუმჯობესება.

მერე კი მონცას დროც მოვიდა. და საბოლოოდ ყველაფერიც სწორედ მაშინ შეიცვალა. იქ მოგების შემდეგ უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა: ტიტულები ისევ ჩვენია!

ხოლო ჩვენმა ინდიანაპოლისურმა ტრიუფმა უკვე კონკურენტებიც დაშოკა. ჩვენი გამარჯვებისა აღარც მათ ეეჭვებოდათ.

იაპონიაში მხოლოდ ერთი ქულაც მყოფნიდა და ყველას ეგონა, რომ მე უკვე მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი. ყველას — ჩემს გარდა.

წვიმის გამო იქ სასტარტოდ მხოლოდ მეთოთხმეტე ადგილს გამოვრჩი. ერთადერთი, რაც მამშვიდებდა, რუბენსის პოული იყო.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი ისევ ჩვენს ხელთ იყო და ჩვენც კაცურად ვიშრომეთ.

რა საოცარია, არა: შაბათს ჯერ არაფერი არ გვქონდა, ახლა კი უკვე ყველაფერი გვაქვს. ჰო, ყველაფერი და თანაც უკვე მერამდენედ.

კვირას იაპონიაში, „სუძუკას" ავტოდრომზე მიხაელ შუმახერის მეექვსედ გაჩემპიონება, ცხადია, კიდევ დიდხანს იქნება საყოველთაო ყურადღების ფოკუსში. 34 წლის გერმანელმა ლეგენდარული არგენტინელის ხუან-მანუელ ფანხიოს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი, „სამეფო რბოლების" ყველაზე პრესტიჟული რეკორდი დაამხო და უდიადესი მეფორმულეც შეიქნა.

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ამ ლამის ყველაზე ხიფათიანი ხელობის კაცმა რვათვიან ქანცგამცლელ სეზონში „დამუხრუჭების" შემდეგ გაზს მიაჭირა და თავის უმცროს ძმა რალფთან, უფროს ტოიოტელ კოლეგა ოლივიე პანისთან და ორ გერმანელ მეგობართან ერთად შინ, შვეიცარიაში გაფრენამდე კარგა მაგრად შეუბერა. კამპანიამ „სუძუკას" ვიპ-ბარში მოილხინა შამპანურით და „ბაკარდი-კოლათი". მერე შემთვრალი და პირში სიგარაგაჩრილი ექვსგზის ტრიუმფატორი მაცივარს დაეჯაჯგურა და მანამდე არ მოეშვა, ვიდრე არ წამოაქცია. რალფი ფანჯრიდან ტელევიზორის გადაგდებას ცდილობდა, ხოლო ოლივიე — სკამით ფანჯრის გამტვრევას.

„ბრძოლის ველის" დატოვების შემდეგ მიხაელი რალფის **BMW**-ს საჭეს მიუჯდა, აქაოდა, მთვრალი ძმა სასტუმროში უნდა წავიყვანოო, მაგრამ თავადაც არანაკლებ გრადუსშეყრილმა მანქანა ვერ დაქოქა.

პოლიციის გამოძახებაზე ან ზარალის თანხის ოდენობაზე არაფერს იუწყებიან.

ხოლო როცა ჩემპიონი გამოფხიზლდა, მშობლიურ „ბილდს" გული გადაუშალა



მიხაელ შუმახერს მთელი „ფერარი" თავს ევლება







რუსმბმა ზვიადაურს ლუჟკოვის ოქრო დაუმძიმეს

1 ნოემბერს მოსკოვში, ვარდების ბულვარში მდებარე ცირკის არენაზე პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტები მოიყრიან თავს. მოსკოვის მერ იური ლუჟკოვის მიერ წამოყენებული „მერის ოქროს სერია", რომლის საპრიზო ფონდიც 160 ათასი დოლარია, 2001 და 2002 წლების ანალოგიური ტურნირებისგან განსხვავებული იქნება.

თუ აქამდე მოსკოვში საჭიდაოდ ყველა წონა ჩადიოდა, ახლა, ძიუდოს ისტორიაში პირველად, გრან პრი მხოლოდ აბსოლუტურში გათამაშდება.



ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲘᲡᲛᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ — ᲤᲝᲢᲝ

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ *16 მონაწილე სექტემბერში, იაპონიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შეარჩია. 90 კგ, 100 კგ, მძიმე და აბსოლუტური წონების ოთხ-ოთხ საუკეთესო მოჭიდავეს შორის ქართველთაგან მხოლოდ მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი ზურაბ ზვიადაური (90 კგ) მოხვდა, და, ცხადია, რუსებს დასტურიც აცნობა. გადაწყვეტილი ამბავია, მსოფლიოს ესტონელი ვიცე-ჩემპიონის ინდრეკ პერტელსონის (აბსოლუტური) და ჰოლანდიელი დენის ვან დერ გესტის (მძიმე) ჭიდაობაც, ისევე როგორც შარშანდელი გრან პრის მომგებ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ მასპინძელ ალექსანდრ მიხაილინისა.*

რუსული ძიუდოს ვებ-გვერდის ინფორმაციით, სხვა მიწვეულთაგან პასუხი ჯერჯერობით არ მიუღიათ. გუშინ კი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა სასიამოვნო ინფორმაცია მოგვაწოდა:

— მოსკოვში ზვიადაურის გარდა, ივერი ჯიქურაულიც იჭიდავებს. მან მსოფლიოზე მეშვიდე ადგილი დაიკავა და მოახლოებული ტურნირის დებულების თანახმად, მასში მონაწილეობა არ ეკუთვნოდა, თუმცა მას შემდეგ უხმეს, რაც რამდენიმე მოჭიდავემ მოსკოვში ჩასვლა იუარა.

— შარშან ზვიადაური ჩემპიონი გახდა, რა თანხა მოიგო მაშინ და რამდენს მიიღებს წლეულს ჩემპიონობის შემთხვევაში?

— ახლანდელ საპრიზო ფონდზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, შარშან კი ოქროს სანაცვლოდ ზურაბს 6000 დოლარი ერგო, ნესტორ ხერგიანს (60 კგ) მესამე ადგილი და 2000. მაშინ ტურნირის საპრიზო ფონდი 500 ათასი იყო და იგი ყველა წონაზე ნაწილდებოდა, ხოლო წელს გრან პრი მხოლოდ აბსოლუტურში იმართება.

— 90 კილოგრამში მოჭიდავე ზვიადაურისთვის მასზე გაცილებით მძიმე მეტოქეებთან ბრძოლაში ტიტულის შენარჩუნება არცთუ ადვილი იქნება. როგორ ემზადება იგი?

— ამჟამად გერმანიაში იმყოფება და ერთ-ერთი იქაური კლუბის სახელით ადგილობრივ საკლუბო ჩემპიონატში ჭიდაობს. საქართველოში ის 20 ოქტომბრისთვის ჩამოფრინდება.

ბოლოს დავძენთ, რომ „მერის ოქროს სერია" ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესებით, ოლიმპიური სისტემით ჩატარდება და ერთხელ დამარცხებულს დამამშვიდებელი შეხვედრის გამართვა აღარ შეეძლება, ხოლო მესამე ადგილს ორი ნახევარფინალში დამარცხებული დაიკავებს.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

მუხის ფოთოლი ქალლეგის სამსახურში

გასულ უქმეებზე თბილისში, ვაჟის პარკში მდებარე საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთლის" კორტებზე კინოლოგთა კავშირის თაოსნობით სასამსახურო-სასპორტო ძაღლების საქართველოს მერვე ღია პირველობა ჩატარდა. მასში მონაწილეობა მხოლოდ ჯერძო მესაკუთრეთა ძაღლებმა მიიღეს. შეჯიბრი სამ დისციპლინაში გაიმართა.

ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡ ზოგად კურსში პირველი ადგილი არჩილ გოგელიას გერმანულმა ნაგაზმა „როკი ჟემონდიკმა" დაიკავა. მოგვიანებით მანვე მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონობაც. დაბრკოლებათა ზონის გადალახვაში ყველას ვაჟა ლორთქიფანიძის ასევე გერმანულმა ნაგაზმა „რექსიმ" ავჯობა, რომელიც ამავდროულად საუკეთესო დებიუტანტადაც დაასახელეს. მესამე დისციპლინა — სადარაჯო სამსახური კი სხვებზე უკეთ ერდელ-ტერიერმა „რეიმ" (მფლობელი კორენეკკია) შეასრულა.

სასამსახურო-სასპორტო ძაღლების კინოლოგთა კავშირის პრეზიდენტმა და საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთლის" თავკაცმა გიორგი გახოკიძემ ტურნირით კმაყოფილება გამოთქვა, თუმცა სამომავლოდ მისი მასშტაბების გაზრდასა და სხვა მრავალი საინტერესო პირველობის ჩატარებაზეც აქედანვე ფიქრობს:

— ჩემპიონატმა ჩინებულად ჩაიარა. ძაღლების წვრთნის დონე საუკეთესო იყო, რაშიც ლომის წილი ჩვენი კავშირის სკოლის დირექტორ ვიტალი კამიშანსკის მიუძღვის. მომზადების დონეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა ძაღლმა შეძლო სხვადასხვა ხარისხის დიპლომის აღება. საქართველოს ღია პირველობა წელიწადში ორჯერ ტარდება და შემდეგი მომავალი წლის აპრილშია დაგეგმილი. ტურნირი, შეიძლება, საერთაშორისოც კი გახდეს, რისთვისაც პირველ რიგში კორტების კეთილმოწყობაა აუცილებელი. სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებულია და იმედია, აპრილამდე მოესწრება.

ამ ტურნირის გარდა სერიოზულად ვმუშაობთ კიდევ რამდენიმე პროექტზე მკლავჭიდის ფედერაციასთან მოლაპარაკება გვაქვს ნოემბერში ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე. ვგეგმავთ თანამეგობრობის ქვეყნების ვეტერან ჩოგბურთელთა ტურნირის მასპინძლობასაც და სხვა ღონისძიებებსაც.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ნჰლ-ის 87-ე რეგულარული ჩემპიონატი ეს რამდენიმე დღეა, დაიწყო. ჩატარდა პირველი მატჩები, გავიდა პირველი გოლები და თქმაც არ უნდა, ჩხუბებიც არ დაჰკლებია ყინულოვან მოედნებს. ვიღაცამ იხეირა, ვიღაც მოულოდნელად, სხვა კი ჯანონზომიერად ჩაფლავდა. მაგალითად, ოთხ გუნდს და მათ შორის „დეტროიტს" ქულა არ დაუკარგავთ, ორი გუნდი კი ჯერაც ხელცარიელია. ერთ-ერთი მათგანი თვით თასის ფინალისტი „ანაჰაიმია", მეორე კი – არ გვიკვირს და – „რეინჯერსი".

სელინ დიონი შაიბაზე გაცვალეს

გლენ საზერი დიდ ჰოკეიში ძველი კაცია, 80-იანებში „ედმონტონის" მწვრთნელად მუშაობისას 5-ჯერ მოიგო სტენლის თასი. მერეც ბევრი რამ უნახავს, საქმე ჩინებულად იცის, მაგრამ ერთი ამოცანა დღემდე ვერ ამოუხსნია — ზაფხულში „რეინჯერსის" გენერალურმა მენეჯერმე და ამასთანავე თავკაცმა დიდი პროფილაქტიკური სამუშაო ჩაატარა. თავის ჭირვეულ მულტიმილიონერ ჰოკეისტებს ხელფასები შეუცირა, ეგებ „მშივრებმა" უფრო კარგად იმუშავონო, რამდენიმე საკადრო ცვლილება განახორციელა, გუნდში წესრიგი დაამყარა და მკაცრად დააწესა, რომ მისმა შეგირდებმა მხოლოდ ინგლისურ ენაზე ილაპარაკონ, მაგრამ გამოვიდა, რომ ამაოდ დაშვრა· — გუნდი ძველებურად უნიათოა.

„მინესოტასთან" 3:5 და „კოლუმბიასთან" 0:5 წაგებულ თამაშებში აშკარად ჩანდა, რომ ყინულზე ჰოკეის გუნდი კი არა, მოციგურავეთა ჯგუფი იყო, რომელთათვისაც ყოველი მატჩი უბრალოდ შოუა. რეინჯერსელები ყინულზე მოსაგებად კი არა, არამედ ლამაზი ფინტებისა და სრიალის საჩვენებლად გადიან. იმავე „მინესოტასთანაც" 3:1 დაწინაურდნენ, მაგრამ მერე 35 წამის განმავლობაში ორი გოლი გაუშვეს და კიდეც ჩაიქნიეს ხელი.

„კოლუმბუსთან" თამაშზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მეტოქეთა მეკარე მარკ დენიმ შათაუტი გაახერხა რადგან საქმე არ ჰქონია, ის უბრალოდ არავის შეუწუხებია და მატჩის შემდეგ თავაც გაოცებული იყო მეტოქის უნიათობით. იმას კი არ გაუოცებია, რომ შათაუტის მიუხედავად თამაშის სამ საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა.

„ანაჰაიმმა" უკვე სამი თამაში წააგო, მაგრამ, „რეინჯერსისგან" განსხვავებით, სამივეში იბრძოლა. ეგაა, პლეი ოფის გმირმა, მეკარე ჯან სებასტიან ჯიგერმა ვერ ივარგა. ეტყობა, მეკარეთა ფეხსაფრების ზომების შემცირება არ მოუხდა. ჯერჯერობით უნიათოდ გამოიყურება გუნდის მთავარი შენაძენი სერგეი ფიოდოროვი. „ანაჰაიმის" ფანები სტადიონზე საგანგებო მაისურებით მივიდნენ, რომლებზეც გუნდიდან წასული პოლ კარიას გვარი და ნომერი წაეშალათ სერგეის კი მადლობას უხდიდნენ. რუსი კი ჯერჯერობით ვერ ამართლებს — 3 თამაშში მხოლოდ საჯარიმო წუთები მიითვალა.

აი, კარიამ კი „კოლორადოში" პირველივე თამაშში გაშალა ფრთები. „ჩიკაგომ" ხელად იგრძნო „ზვავების" ახალი სუპერტრიოს კარია-საკიკი-სელიანეს ძალა. ჯერ მე-6 წუთზე თავად კარიამ დაასრულა პარტნიორთა კომბინაცია, ცოტა ხანში კი საკიკმა შეაგდო მისი დახმარებით. „ეს სწორედ ის ჰოკეია და ის პარტნიორები არიან, რომლებზეც მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი. თან ეს ხომ მხოლოდ პირველი თამაშია — თქვა კარიამ მატჩის შემდეგ და მომდევნო შეხვედრაში „სენტ ლუისთან" კვლავ გაიტანა, ცხადია, საკიკის და სელიანეს დახმარებით. თუმც ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა და „ეველანშმა" „ჩიკაგოსთან" 5:0 შემდეგ „სენტ ლუისთან" მარცხი იწვნია — 1:2.

ერთ-ერთმა ფავორიტმა „დეტროიტმა" ორი თამაში მოიგო და ორივეში ძალიან გაუჭირდა. ორივე 3:2 დასრულდა, თანაც „ლოს ანჯელესთან" სტივ აიზერმანმა მატჩის ბოლოსწინა წამზე გაიტანა, ხოლო „ოტავასთან" კიდევ ერთი ვეტერანი ნიკლას ლიდსტრიომი ოვერტაიმში გამოირჩა. ორივე შეხვედრაში „წითელფრთიანთა" კარს დომინიკ ჰაშეკი იცავდა. ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული „დომინატორი" აშკარად ნერვიულობდა, თუმც საბედისწერო შეცდომები არ დაუშვია და უახლოეს მომავალში უეჭველად კიდევ მოუმატებს.

ჩემპიონმა „ნიუ ჯერსიმ" კი თავის სტილში დაიწყო, „ბოსტონთან" სასტარტო ფრეს (3:3) „კაროლინასთან" დიდი ძალისხმევით მოპოვებული მოგება (2:1) მოაყოლა. გამოსარჩევია ნიუჯერსელთა სახელოვანი ახალწვეული 42 წლის იგორ ლარიონოვი, რომელმაც 2 თამაშში 3 პასი მიითვალა.

REUTERS ᲒᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡᲒᲐᲜ

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝᲔᲚᲛᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲠᲐᲘᲐᲰᲔᲚᲛᲐ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲓᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲔᲚᲛᲐ ᲙᲘᲗ ᲛᲘᲚᲔᲠᲛᲐ ᲬᲐᲣᲪᲔᲙᲕᲔᲡ

რამდენიმე მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა. ერთი და იგივე გუნდი ერთ დღეში მთლად სახეშეცვლილი ჯერ წარდგება მაყურებლის წინაშე, მაგრამ იმავე „აილენდერსმა" დედაქალაქელებთან 1:6 განადგურების შემდეგ „ბუფალო" 6:0 შეარცხვინა. ამ უკანასკნელმა კი ჯავრი ერთ-ერთ ფავორიტ „დალასზე" იყარა — 4:3.

დაბოლოს, ერთი ფაქტიც. „კოლორადოს" გენერალურმა მენეჯერმა პიერ ლაკრუამ გუნდთან ახალი მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა. არადა, თურმე მას სხვა ალტერნატივაც ჰქონდა — ცნობილი მომღერალი სელინ დიონი სთავაზობდა მენეჯერის პოსტს, მაგრამ ლაკრუამ ჰოკეი არჩია.

ᲡᲐᲛᲔᲒᲚᲝ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

REUTERS მაიამიდან

ლეონის კოცნა



REUTERS ფრანკფურტიდან

წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, ფრანკფურტში ყოველწლიურად რომ იმართება, წლეულს ყველა დროის უდიადეს მოკრივედ შერაცხული მოჰამედ ალის წიგნიც წარმოადგინეს. წიგნის ფორმატი 50 სმ 50 სმ-ზე ყოფილა და წონითაც სარეკორდოდ ბევრს, 34 კილოს იწონის, სულ 10 ათასიანი ტირაჟით დაბეჭდილა და თითოეულს თავად ალის ხელმოწერა ამშვენებს. სწორედ ფრანკფურტშივეა გადაღებული ეს ჯივრის შემათრთოლებელი სცენა, რომლის დროსაც აღელვებული ქმრის ემოციებს ქალბატონი ლეონი ნაზი ამბორით ესათუთება.

შავდური არდადეგები

ისვენებენ და ერთობიან ტრავმებმოსამუშებლად დროებით კორტებს განრიდებული შავდანი — ვინუსი და სერენა. ხან სად გადაეყრება მათ მადლიანი ფოტოობიექტივი და ხანაც — სად. ამჯერად ვინუსი კენტად უნახავთ მაიამიში, „ფლორიდა მარლენზისა“ და „ჩიკაგო კაბზის“ საბეისბოლო შეხლაზე.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

აქეთ თითები, იქით თითები

ავსტრალიელი კაილი გერლიკი თანაგუნდელ ანჯელა კლარკს რაღაც კომბინაციაზე მიანიშნებს. მისანიშნებლად — თავადაც ხედავთ — თითებსა და ქორფა უკანალს ხმარობს. ანჯელამაც მის დუნდულებზე უნდა ამოიკითხოს, თუ როგორ ეგების ბულგარელთა წინააღმდეგ შეტევა. ამბავი რიოს მახლობლად ხდება — სანაპიროფრენბურთო მსოფლიოს პირველობაზე.

REUTERS ბარსელონიდან

გრიზლგადახვეული

ენბიეის მემფისელი გრიზლები ამხანაგურად წაღლაბუცებიან თავიანთ ბარსელონელ კოლეგებს. მატჩს დასწრებია და კარგადაც გართობილა საფეხბურთო „ბარსას“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდინიოც.

ბორისი და მარიუსი

REUTERS ჰამბურგიდან

ბორის ბეკერი (მარჯვნივ) და სახელიანი გერმანელი პოპმომღერალი მარიუს მიულერ-ვესტერნჰაგენი მაშინ ჩააკარტოჩკეს, როცა რომ გერმანია — ისლანდიის ევროშესარჩევი მატჩის წინ ქვეყანათა ჰიმნებს წამოუდგნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიკაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge